მიგრანტი მშობლების ბავშვების საჭიროებების კვლევა საქართველოში

კვლევის ანგარიში

საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა

2026

ლელა გოგინავა
ტატიანა სიჭინავა

კვლევის ანგარიში მომზადდა საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ მიერ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit GmbH) გლობალური პროგრამის - „განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაციის მხარდაჭერა“ დაკვეთით, პროექტის -გაერთიანება მიგრანტი მშობლების შვილების მხარდასაჭერად“ ფარგლებში.

კვლევის ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა, ის შესაძლოა არ გამოხატავდეს GIZ-ის შეხედულებებს.

აპრილი, 2026
თბილისი, საქართველო

აბრევიატურების სია

- **EMIS –** განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
- **UN DESA –** გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი
- **GIZ –** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
- საქსტატი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
- სებ – საქართველოს ეროვნული ბანკი
- სგმეეს - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრეტგია
- სმს - სოციალური მომსახურების სააგენტო
- **LBC – Left-Behind Children (**ემიგრანტი მშობლების შვილები**)**
- **SEL –** სოციალურ-ემოციური სწავლება

სარჩევი

აბსტრაქტი	3
თავი I: შესავალი	4
თავი II: ქვეყნის კონტექსტი: მიგრანტი მშობლების შვილების დაცვისა და მხარდამჭერი პოლიტიკის მიმოხილვა საქართველოში	8
თავი III: ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო	14
თავი IV: კვლევის მეთოდოლოგია	22
თავი V: კვლევის მიგნებები და შედეგების ანალიზი	31
თავი VI: დისკუსია	45
თავი VII. დასკვნა და რეკომენდაციები	47
ბიბლიოგრაფია	50

წინათქმა

მაია ნასრაშვილი

საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა, პრეზიდენტი

„ბავშვი მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და გაგების ატმოსფეროში“ -გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია

თანამედროვე მსოფლიოში შრომითი მიგრაცია გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პროცესის განუყოფელი ნაწილია. თუმცა, მიგრაციის დისკურსში ხშირად ყურადღება კონცენტრირდება საზღვრების მართვაზე, შრომით ბაზარზე და ფინანსურ გზავნილებზე, მაშინ როდესაც ნაკლებად ხილული რჩება მისი სოციალური შედეგები, განსაკუთრებით ბავშვების მიმართ. მშობლის მიგრაცია ცვლის ოჯახის სტრუქტურას, ზრუნვის მოდელს და ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას, რაც პირდაპირ აისახება მის ემოციურ, საგანმანათლებლო და სოციალურ განვითარებაზე.

გაეროს **Global Compact for Safe, Orderly and Regular Migration** (2018) მკაფიოდ აღიარებს, რომ მიგრაციაში მყოფი და მიგრაციის შედეგად მოწყვლად მდგომარეობაში აღმოჩენილი ბავშვები საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას. დოკუმენტი ხაზს უსვამს ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრინციპს, ბავშვთა დაცვის ეროვნულ სისტემებთან ინტეგრირებულ მიდგომას და განათლებასა და საბაზისო სერვისებზე არადისკრიმინაციული წვდომის აუცილებლობას. ეს მიდგომა სრულ თანხვედრაშია გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნებთან, რომლებიც თანასწორობას, ხარისხიან განათლებასა და სოციალური უთანასწორობის შემცირებას ითვალისწინებს.

მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მრავალ დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანაში, მათ შორის მიგრაციის მაღალი მაჩვენებლის მქონე სახელმწიფოებში, მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვები კვლავ რჩებიან სისტემურად „უხილავ ჯგუფად“. ისინი ხშირად ვერ სარგებლობენ თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობებით, შეზღუდული აქვთ ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სერვისებზე წვდომა და განიცდიან ემოციურ დეფიციტს, რომელიც ვერ კომპენსირდება მხოლოდ ეკონომიკური რესურსებით.

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება ბავშვის უფლებებზე დამყარებულ მიდგომას და მიზნად ისახავს ყურადღების გამახვილებას იმ საჭიროებებზე, რომლებიც დაკავშირებულია მიგრაციის შედეგად განცალკევებულ ბავშვებთან. ის ემყარება საერთაშორისო პოლიტიკურ ჩარჩოებსა და კვლევით მტკიცებულებებს და ცდილობს წარმოაჩინოს, რომ საკითხი არ არის მხოლოდ ოჯახური ან ინდივიდუალური გამოწვევა. ეს არის სისტემური პოლიტიკის, ინსტიტუციური კოორდინაციისა და მრავალსექტორული თანამშრომლობის სფერო.

მიგრაციის მართვა ვერ იქნება სრულყოფილი, თუ იგი არ მოიცავს ბავშვთა უფლებების ეფექტიან დაცვას. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფოების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, სოციალური დაცვის სისტემისა და სამოქალაქო სექტორის ერთობლივი, კოორდინირებული მოქმედება, რათა ბავშვები არ აღმოჩნდნენ გლობალური

მიგრაციული პროცესების ჩრდილში, არამედ გახდნენ დაცვისა და განვითარების პოლიტიკის ცენტრალური სუბიექტები.

საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკამ მიგრანტი მშობლების შვილების თემაზე მუშაობა ხუთი წლის წინ დაიწყო. პირველი კვლევა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით „შრომითი მიგრანტების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებების კვლევა“ 2024-2025 წლებში ჩაატარა, თუმცა, კვლევამ ვერ მოახერხა სრულად დაეფარა ყველა ასაკობრივი ჯგუფის საჭიროებები და 2025 წელსვე დაიწყო მეორე კვლევაზე მუშაობა, რომელმაც უკვე სკოლის ასაკის ბავშვებზე გააკეთა აქცენტი და მიზნად მახასიათებლების შესწავლა დაისახა. კვლევების პარალელურად ორგანიზაციამ იმუშავა სახელმძღვანელოების შექმნაზე საბავშვო ბაღებისთვის, სკოლებისთვისა და ბავშვთა ფსიქოლოგებისთვის, რათა პროფესიონალებს გაუადვილდეთ მიგრანტი მშობლების შვილების საჭიროებების ამოცნობა და შესაბამისი რეაგირება. პროექტმა მოიცვა პროფესიონალთა კომპეტენციების ამაღლება (სოციალური მუშაკები, ბაღის აღმზრდელები, ფსიქოლოგები, სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაცია, ახალგაზრდული მუშაკები) და საინფორმაციო კამპანიის ნაწილიც, როგორც ფართო საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებისთვის, ისე პროფესიულ წრეებში მიგრანტი მშობლების შვილების ხილვადობის ზრდისთვის. პროექტის ფარგლებში 2025 წელს ჩატარდა „პირველი ეროვნული კონფერენცია მიგრანტი მშობლების შვილების მხარდასაჭერად“, რომელსაც საქართველოს მასშტაბით პროფესიონალთა ფართო სპექტრი დაესწრო, კონფერენციის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო საკითხის შესახებ ბავშვების დებატები, რომელმაც უზრუნველყო ბავშვების ხმა მათთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას.

იმედი გვაქვს, რომ წინამდებარე კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ბავშვზე მორგებული, ეფექტიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეამცირებს მშობლების მიგრაციით გამოწვეულ რისკებს და ხელს შეუწყობს საქართველოში ბავშვთა დაცვასა და კეთილდღეობას.

საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკას გუნდი განსაკუთრებულ მადლობას უხდის ყველა იმ პირს ვინც კვლევაში მონაწილეობა მიიღო.

პატივისცემითა და მადლიერებით,

Abstract

Background: Labor migration has become a structural phenomenon in modern Georgia, leading to an increase in transnational families. This study focuses on the experiences of children left behind by one or both parents, navigating complex emotional and social challenges.
Methodology: The research is based on a qualitative design. Data were collected through **45 in-depth interviews** with children (aged 10-17), their caregivers, and teachers. A high emotional barrier was observed during the fieldwork: three adolescents declined to participate due to severe traumatic reactions, which served as a significant empirical indicator of the depth of the issue.
Key Findings:

- **The "Silent Crisis" and Culture of Silence:** Children exhibit a "habituated pain" syndrome, where digital communication (Viber/WhatsApp) fails to compensate for physical proximity.
- **Parentification:** Parental migration forces children to mature prematurely and assume adult responsibilities ("forced independence").
- **Financial Paradox:** Material well-being does not offset emotional deficits; remittances are often used solely for debt repayment, leaving the child's perceived quality of life unchanged.
- **Institutional Vacuum:** A critical lack of state monitoring and ineffective school psychological services was identified, often compensated for by teachers' "intuitive therapy."

Conclusion: The study confirms that children of migrant parents represent an "invisible group" in Georgia. There is an urgent need for institutional identification mechanisms and multi-faceted state support to mitigate the risks of a "lost generation."

რეზიუმე

აქტუალობა: თანამედროვე საქართველოში შრომითი მიგრაცია მასობრივ ხასიათს ატარებს, რაც იწვევს ტრანსნაციონალური ოჯახების მატებას. კვლევა ფოკუსირებულია იმ ბავშვების გამოცდილებებზე, რომლებიც რჩებიან მშობლის (ან მშობლების) გარეშე და უმკლავდებიან კომპლექსურ ემოციურ თუ სოციალურ გამოწვევებს.
მეთოდოლოგია: ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ კვლევას. მონაცემთა შეგროვება განხორციელდა **45 სიღრმისეული ინტერვიუს** მეშვეობით (10-17 წლის ბავშვები, მათი მეურვეები და პედაგოგები). კვლევის პროცესში დაფიქსირდა მაღალი ემოციური ბარიერი — სამმა მოზარდმა უარი თქვა ინტერვიუზე მწვავე ტრავმული რეაქციის გამო, რაც თავისთავად კვლევის მნიშვნელოვან ემპირიულ მონაცემს წარმოადგენს.
ძირითადი მიგნებები:

- **„მშვიდი კრიზისი“ და დუმილის კულტურა:** ბავშვებში ვლინდება „შეჩვეული ტკივილის“ სინდრომი, სადაც ციფრული კომუნიკაცია ვერ ანაცვლებს ფიზიკურ სიახლოვეს.
- **გამშობლება:** მშობლის ემიგრაცია აიძულებს ბავშვებს ნაადრევად გაიზარდონ და აიღონ ზრდასრულის პასუხისმგებლობები („იძულებითი დამოუკიდებლობა“).
- **ფინანსური პარადოქსი:** მატერიალური კეთილდღეობა ვერ ფარავს ემოციურ დეფიციტს, ხოლო გზავნილები ხშირად მხოლოდ ვალების გასტუმრებას ხმარდება.
- **ინსტიტუციური ვაკუუმი:** გამოიკვეთა სახელმწიფო პოლიტიკის დეფიციტი და სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურების არაეფექტურობა, რასაც პედაგოგები საკუთარი „ინტუიციური თერაპიით“ აკომპენსირებენ.

დასკვნა: კვლევა აჩვენებს, რომ მიგრანტი მშობლების შვილები ქმნიან სოციალურად „უხილავ ჯგუფს“, რომლის საჭიროებებიც არსებული ინსტიტუციური ჩარჩოების მიღმა რჩება და რომ მხოლოდ ფინანსური დახმარება არ არის საკმარისი; აუცილებელია სკოლის ბაზაზე არსებული ფსიქოლოგიური სამსახურების ტრანსფორმაცია და მეურვეებისთვის სპეციფიკური მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა, რათა მოხდეს პედაგოგების „ინტუიციური თერაპიიდან“ სისტემურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკაზე გადასვლა.

თავი I: შესავალი

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, შრომითი მიგრაცია საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევად ჩამოყალიბდა. აღნიშნული პროცესი ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად განპირობებულია სოციალური, დემოგრაფიული, საგანმანათლებლო და კარიერული მოტივაციებით. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მხოლოდ 2023-24 წლებში საქართველო ჯამურად 366,489-მა ადამიანმა დატოვა ემიგრაციის მიზნით (საქსტატი 2024b).

მიუხედავად იმისა, რომ გლობალური კვლევები მიგრაციის ფემინიზაციის შემცირების ტენდენციას მიუთითებს (IOM and ARMSTAT 2024), რაც ქართულ რეალობაშიც შეინიშნება (საქსტატი 2024b), გაეროს ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი (UNDESA 2025), საქართველოსთვის ქალთა მიგრაციას კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევს. გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში 281 მილიონი საერთაშორისო მიგრანტიდან თითქმის ნახევარი ქალია (UN DESA 2020). მიგრანტი ქალების მაღალი კონცენტრაცია აღინიშნება დაუცველ და დაურეგულირებელ სექტორებში, როგორიცაა ოჯახში დასაქმება და მზრუნველობა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით დამახასიათებელია დაბალშემოსავლიანი ქვეყნებიდან (მაგ., ალბანეთი, სერბეთი, ეკვადორი) წამოსული მიგრანტებისთვის (Gassmann et al. 2018). სწორედ ამ პროფილს მიეკუთვნებიან საქართველოდან ემიგრირებული ქალებიც, რომელთა დიდი ნაწილი კერძო ოჯახებში მომვლელად ან დამხმარედ არის დასაქმებული.

შრომით მიგრაციას საქართველოში მნიშვნელოვანი სოციალური შედეგები მოჰყვა, მათ შორის, ოჯახურ სტრუქტურებსა და ბავშვთა კეთილდღეობაზე ზეგავლენა. მიუხედავად იმისა, რომ ფულადი გზავნილები მრავალი ოჯახისთვის ეკონომიკურ დასაყრდენს წარმოადგენს, მშობლის, განსაკუთრებით დედის, ხანგრძლივი არყოფნა სერიოზულ ემოციურ, სოციალურ და საგანმანათლებლო გამოწვევებს უქმნის ბავშვებსა და მოზარდებს. მრავალი ბავშვი იზრდება ბებია-ბაბუის ან ოჯახის სხვა წევრების მეურვეობის ქვეშ, რაც ერთ ან ორივე მშობლის საზღვარგარეთ ყოფნითაა განპირობებული.

ამ გამოწვევის ფონზე, საქართველოში არ არსებობს მიგრანტი მშობლების შვილების აღრიცხვის ეროვნული მექანიზმი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებას. საერთაშორისო კვლევები (Wickramage et al. 2015) ადასტურებს, რომ მიგრანტ მშობელთა ბავშვების დიდი ნაწილი თავმოყრილია დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში (აზია, აღმოსავლეთ ევროპა, ლათინური ამერიკა, აფრიკა). 2022 წლის მონაცემებით, ჩინეთის სოფლის რეგიონებში მცხოვრები ბავშვების 33%-ზე მეტი (≈6.97 მილიონი) მიეკუთვნება ამ ჯგუფს. ფილიპინებში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 27%-ია (≈8 მილიონი), ტაილანდში — 6.6% (≈3 მილიონი), ეკვადორში — 36%, ხოლო სამხრეთ აფრიკის სოფლის რეგიონებში 40%-ს აღემატება (Zhu et al. 2023) საქართველო, როგორც პოსტსაბჭოთა და შრომითი მიგრაციის მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყანა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით (თითქმის 40%) სრულად ჯდება ამ გლობალურ ტენდენციაში (Zhu et al. 2023; Cebotari et al. 2018).

მიგრანტი მშობლების სასკოლო ასაკის შვილებთან მიმართებაში იდენტიფიცირდება მხოლოდ ერთი სიღრმისეული აკადემიური ნაშრომი, რომელიც ქვეყნის ორ რეგიონზეა ფოკუსირებული და მოიცავს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის (მასწავლებლებისა და დირექტორების) შეხედულებების ანალიზს (Antia et al. 2022). შესაბამისად, უშუალოდ ბავშვების ან მათი მეურვეების გამოცდილება და პერსპექტივა შეზღუდულად არის წარმოდგენილი. ეს დეფიციტი ნაწილობრივ კომპენსირდება უცხოელი ავტორების კვლევებით (Gassmann et al. 2018; Hofmann and Buckley 2012; Cebotari et al. 2018), რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ მშობლების მიგრაციასა და ბავშვთა კეთილდღეობას შორის კავშირზე, გვთავაზობენ რა შედარებით ანალიზს მოლდოვისა და საქართველოს მაგალითებზე და ასახავენ ქართველი ქალების მიერ შრომითი მიგრაციისა და ტრადიციული გენდერული ნორმების თანაარსებობით გამოწვეული დაძაბულობის დაძლევის მექანიზმებს.

Civitas Georgica-ს (2025) მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებებში მყოფი მიგრანტი მშობლების შვილების საჭიროებებზე იყო ფოკუსირებული, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ბარიერები მონაცემთა მოპოვების პროცესში. კერძოდ, მთავრობის მხრიდან არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის ფორმატის ცვლილებამ შეაფერხა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან რაოდენობრივი მონაცემების სრულფასოვანი მიღება. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა ეტაპმა შესაძლებელი გახადა ადგილობრივ დონეზე არსებული სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირება. კვლევამ ცხადყო, რომ მუნიციპალიტეტები, რომლებსაც კანონით ეკისრებათ პასუხისმგებლობა ბავშვთა კეთილდღეობის მნიშვნელოვან ასპექტებზე, მწვავედ განიცდიან ინსტრუმენტებისა და რესურსების დეფიციტს მიგრანტი მშობლების შვილების საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათი მხარდაჭერისთვის.

საგანგაშოა, რომ ეს ჯგუფი პრაქტიკულად სრულად რჩება როგორც ეროვნული, ისე მუნიციპალური პოლიტიკის მიღმა: მათი სპეციფიკური პრობლემები არ აისახება არც სტრატეგიულ დოკუმენტებში და არც ოფიციალურ სტატისტიკაში. სწორედ ზუსტი რაოდენობრივი მონაცემების არარსებობამ და სისტემურმა „უხილავობამ“ განაპირობა წინამდებარე თვისებრივი კვლევის აუცილებლობა. მისი ამოცანაა ემპირიული ცოდნის შევსება და იმ ემოციური თუ სოციალური ნაპრალების წარმოჩენა, რომლებსაც მშრალი სტატისტიკა ვერ ასახავს.

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს Civitas Georgica-ს მიერ დაწყებული პროცესის ლოგიკურ გაგრძელებას და გაფართოებას. GIZ-ის მხარდაჭერით, იგი პირველად ახორციელებს ეროვნული მასშტაბის სიღრმისეულ ანალიზს, რომელიც ფოკუსირებულია მიგრანტი მშობლების სასკოლო ასაკის ბავშვების საჭიროებებზე, განცდებსა და გამკლავების მექანიზმებზე. ორივე კვლევის (სკოლამდელი და სასკოლო ასაკის) ერთობლივი გაანალიზება იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, შეიქმნას ერთიანი, კომპლექსური სურათი და მომზადდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ბრიფები.

კვლევა პასუხობს შემდეგ ძირითად შეკითხვებს:

1. როგორ უმკლავდებიან არსებულ გამოწვევებს სხვადასხვა ტიპის მზრუნველები, მეურვეები და სკოლის პედაგოგები/ადმინისტრაციები?
2. როგორ აისახება მშობლის ფიზიკური არყოფნა ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ქცევაზე?
3. როგორ და რა გზებით ცდილობენ მიგრანტი მშობლების შვილები ემოციური ბალანსის შენარჩუნებას?
4. რა ინტერვენციების შესაძლებლობა და სტრატეგია არსებობს სახელმწიფოს, მუნიციპალური და არასამთავრობო სექტორის მხრიდან?

1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს კონტექსტში შრომითი მიგრაციის შედეგად საზღვარგარეთ მყოფი მშობლების შვილების (ე.წ. *left-behind children*) სოციალური, ემოციური და საგანმანათლებლო მდგომარეობისა და საჭიროებების სიღრმისეულ ანალიზს.
შესაბამისად, ემსახურება სამ ძირითად მიზანს:

1. **მეურვეების, მზრუნველების, სკოლების როლის და მათი შესაძლებლობებისა და შეზღუდვების იდენტიფიცირება**
   - გაანალიზდეს, თუ როგორ ახერხებენ მეურვეები და მზრუნველები დედა/მამა, (ბებია/ბაბუა, დეიდა/ბიძა, სხვა ნათესავები) ბავშვის ფიზიკური და ფსიქო-სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას;
   - გამოიკვეთოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაგირება მსგავს სიტუაციებზე და შეფასდეს მათ მიერ გამოყენებული მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტურობა.
2. **სოციალური, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევა**
   - ემპირიულად გაირკვეს მშობლის ემიგრაციაში ყოფნის ზეგავლენა ბავშვთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მათ ემოციურ მდგომარეობასა და აკადემიურ მოსწრებაზე;
   - შეისწავლოს ბავშვების ინტერაქციები ოჯახის წევრებთან, თანატოლებთან, მასწავლებლებთან და ფართო სოციალურ გარემოსთან.
3. **მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შექმნა ეროვნულ და ადგილობრივი დონეზე**
   - შეიმუშავოს პრაქტიკული და პოლიტიკის დონეზე ორიენტირებული რეკომენდაციები განათლების, სოციალური პოლიტიკისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის სისტემების გაუმჯობესების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მიგრანტი მშობლების შვილების კეთილდღეობა.

კვლევის ამოცანები

1. თვისებრივი და სტატისტიკური მონაცემების შეგროვება მთელი საქართველოს მასშტაბით იმ ბავშვებზე, რომელთა მშობლები დროებით ან გრძელვადიან ემიგრაციაში იმყოფებიან.
2. ინტერვიუების ჩატარება ბავშვებთან, მათ მეურვეებთან და მასწავლებლებთან, რათა გამოიკვეთოს ძირითადი გამოწვევები და მხარდაჭერის არსებული ფორმები.
3. სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის მიერ შემოთავაზებული არსებული სერვისებისა და მათი ეფექტიანობის გაანალიზება.
4. არსებული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის შეფასება მიგრანტი მშობლების შვილების მიმართ.
5. კონკრეტული ქმედითი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება ყველა იმ ინსტიტიციისთვის, რომელიც ახორციელების მიგრაციის პოლიტიკის ფორმირებასა და მართვას.

თავი II: ქვეყნის კონტექსტი: მიგრანტი მშობლების შვილების დაცვისა და მხარდამჭერი პოლიტიკის მიმოხილვა საქართველოში

შრომითი მიგრაციის მაჩვენებლები

ბოლო 15 წლის განმავლობაში შრომითი მიგრაცია რჩება საქართველოს დემოგრაფიისა და ეკონომიკის განმსაზღვრელ ძალად. ოფიციალური სტატისტიკა (საქსტატი 2024b) ნათლად აჩვენებს მიგრაციული ნაკადების მაღალ დონეს, თუმცა ბოლო წლებში (2020, 2022 და 2024) მიგრაციული სალდოები სხვა წლებთან შედარებით დადებითია (საქსტატი 2024a), რაც გლობალური და რეგიონული კრიზისების პირდაპირი შედეგითაა გაპირობებული.

ფულადი გზავნილები

მიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილები საქართველოს ეკონომიკის კრიტიკულ სტაბილიზატორს წარმოადგენს. ეროვნული ბანკის მონაცემებით, გზავნილების მოცულობა ხშირად მშპ-ის მნიშვნელოვან წილს შეადგენს (სებ 2023), რაც ხაზს უსვამს იმას, რომ მშობლის ემიგრაცია, ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნის გზით, ერთგვარი კომპენსატორული მექანიზმის როლს ასრულებს. თუმცა, როგორც კვლევები (Antia et al. 2022; Cebotari et al. 2018; Mao et al. 2020) ცხადყოფს, ფულადი კომპენსაცია ვერ ანაზღაურებს მშობლის ფსიქო-სოციალურ როლს.

მიგრაციის ფემინიზაცია

საქართველოდან ემიგრაციის დინამიკაში კაცების რაოდენობრივი უპირატესობის მიუხედავად (საქსტატი 2024a), საერთაშორისო დონეზე (UN DESA 2025) კვლავ აქტუალურია **მიგრაციის ფემინიზაციის** საკითხი. მოცემულ კონტექსტში ფემინიზაცია გულისხმობს არა მხოლოდ ქალთა წილის ზრდას საერთო ნაკადში, არამედ მათ ტრანსფორმაციას დამოუკიდებელ შრომით მიგრანტებად, რომლებიც ოჯახის მთავარი

ეკონომიკური საყრდენის როლს ითავსებენ. სწორედ ქალთა მაღალი კონცენტრაცია მზრუნველობისა და საოჯახო შრომის სექტორში (Care Work) განაპირობებს მათ ხანგრძლივ ფიზიკურ დისტანცირებას ოჯახისგან. აღნიშნული პროცესი ცვლის ტრადიციულ გენდერულ როლებს და ქმნის ღრმა ემოციურ და სოციალურ დეფიციტს ბავშვებში, რაც ხშირად **„გამშობლებისა“** და ოჯახური სტრუქტურის რღვევის მიზეზი ხდება.

„საზღვაო მიგრაციის “ფენომენი

საქართველოში შრომითი მიგრაციის სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს მეზღვაურთა შრომა. თუ ემიგრაციის შემთხვევაში დომინირებს ქალთა მიგრაცია, საზღვაო სექტორში განშორება უმეტესად მამასა და შვილს შორისაა. ეს ქმნის ტრანსნაციონალური ოჯახის განსხვავებულ მოდელს, სადაც ფინანსური სტაბილურობა მაღალია, თუმცა ბავშვი იმყოფება მუდმივი ციკლური განშორების რეჟიმში.

მიუხედავად აღნიშნული ფენომენის აქტუალობისა, მისი მკვეთრად განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ბუნების გამო, წინამდებარე ნაშრომი მას მხოლოდ შედარებით კონტექსტში განიხილავს, ხოლო „საზღვაო მიგრაციის“ გავლენა ბავშვის განვითარებაზე ცალკეული კვლევის საგნას წარმოადგენს.

მიგრანტი მშობლების შვილების აღრიცხვისა და პოლიტიკის დეფიციტი

საქართველოს სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მიგრანტი მშობლების შვილების შესახებ ერთიან სტატისტიკას. ეს სისტემური ხარვეზი შეუძლებელს ხდის აღნიშნული პირობის საჭიროებების მიმართ ზუსტი ეროვნული და მუნიციპალური სტრატეგიის დაგეგმვასა და გასატარებელი ღონისძიებების ბიუჯეტირებას.

სამთავრობო პროგრამა 2025-2028

სამთავრობო პროგრამა, (საქართველოს მთავრობა 2024) არსებითად, ფოკუსირებულია სახელმწიფოს სტრუქტურული, ეკონომიკური, უსაფრთხოების, საგარეო–პოლიტიკური და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებაზე. პროგრამაში ხაზგასმულია დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცება, ეკონომიკის გაძლიერება, სოციალური პოლიტიკის დახვეწა, ასევე ჯანდაცვისა და განათლების სისტემების საერთო გაუმჯობესება. თუმცა, ამ ფართო სტრატეგიულ ჩარჩოში მიგრანტი მშობლების შვილების საჭიროებები, რისკები და გამოწვევები სრულიად უხილავი რჩება.

მიგრაციის მიმართულებით წარმოდგენილი პრიორიტეტები ვიწროდ არის ორიენტირებული მიგრაციული ნაკადების მართვაზე, რეადმისიის პროცესებზე, თავშესაფრის სისტემის რეგულირებაზე, სასამართლო-ადმინისტრაციულ კონტროლზე და უსაფრთხოების კუთხით ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაზე. ყურადღება გამახვილებულია იმ პირებზე, ვინც „ბოროტად სარგებლობს თავშესაფრის სისტემით“ (სახალხო დამცველი 2024), ასევე საერთაშორისო შრომითი მიგრაციის შეთანხმებებზე ევროკავშირთან და სხვა ქვეყნებთან. პროგრამა ფოკუსირდება მიგრაციის სამართლებრივ, უსაფრთხოების და ადმინისტრაციულ განზომილებებზე, ხოლო სოციალური შედეგები — განსაკუთრებით არასრულწლოვანების მიმართ — სრულიად იგნორირებულია.

განათლების სისტემა

მიუხედავად იმისა, რომ მიგრანტი მშობლების შვილები თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოში ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად კატეგორიად განიხილება, საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტში (2022), ზოგადი განათლების შესახებ კანონსა (2005) და ეროვნულ სასწავლო გეგმაში (2016) მიგრანტი მშობლების შვილების პრობლემატიკა პრაქტიკულად უხილავია, სტრატეგიის დოკუმენტი პრიორიტეტს ანიჭებს ფართო სტრუქტურულ და სისტემურ საკითხებს - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, სწავლების ხარისხის მხარდაჭერას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და ინსტუტიციურ რეფორმებს და არსებითად უგულებელყოფენ იმ სპეციფიკურ რისკებსა და საჭიროებებს, რომლებიც უკავშირდება ბავშვებს, რომელთა მშობლებიც შრომით მიგრაციაში იმყოფებიან. აღნიშნულ დოკუმენტებში განხილვის საგანს არ წარმოადგენს ამ ბავშვების ფსიქო-სოციალური გამოწვევები, ემოციური მხარდაჭერის დეფიციტი, აკადემიური პროგრესის შესაძლო დარღვევები, სოციალური იზოლაციის რისკები და სასწავლო პროცესში ჩართულობის შემცირება. მიგრაციის საკითხი მხოლოდ ზოგად სოციალურ კონტექსტშია ნახსენები და არ არის წარმოდგენილი როგორც სისტემური, დამოუკიდებელი ანალიზის საგანი, მიუხედავად იმისა, რომ მშობელთა ხანგრძლივი ემიგრაცია პირდაპირ და მულტიფაქტორულად მოქმედებს მოსწავლეთა კეთილდღეობაზე, მოტივაციასა და საგანმანათლებლო მიღწევებზე. შედეგად, მოქმედი დოკუმენტაცია ვერ უზრუნველყოფს შესაბამის ჩარჩოს ამ ჯგუფის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მიზნობრივი ინტერვენციების დაგეგმვისთვის, რაც ქმნის პოლიტიკის ფორმირების სერიოზულ ხარვეზს.

ამ სტრუქტურულ ხარვეზებს მკაფიოდ აჩვენებს 2023–2024 სასწავლო წლის სტატისტიკაც. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მოქმედებდა 208 კერძო და 2086 საჯარო სკოლა, ხოლო მოსწავლეთა ჯამური რაოდენობა 640,700 იყო (საქსტატი 2025a). სახალხო დამცველის მონაცემებით, 2023 წელს 13,401 მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა, ამოირიცხა ან გაირიცხა (სახალხო დამცველი 2024). ყველაზე ხშირი მიზეზი ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრებაა, რაც საგანმანათლებლო პროცესზე მიგრაციის მნიშვნელოვან გავლენას აჩვენებს.

აღნიშნული ტენდენციები ნათლად უსვამს ხაზს იმ განსხვავებას, რაც რეალურ საჭიროებებსა და არსებულ პოლიტიკურ დოკუმენტებში განსაზღვრულ პრიორიტეტებს შორის არსებობს, და კიდევ ერთხელ მიუთითებს სპეციფიკური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკური რეაგირების აუცილებლობაზე.

სოციალური დაცვის სისტემა

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემები ასახავს მხოლოდ იმ ოჯახებს, რომლებიც სარგებლობენ სიღარიბის გამო დახმარებით (საქართველოს მთავრობა, 2006), მაგრამ არ შეიცავს სპეციფიკურ მითითებას მშობლის მიგრაციულ სტატუსზე, რაც ამ ბავშვებს ხშირად უხილავ ჯგუფად ტოვებს სოციალური მუშაკების თვალთახედვიდან. საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს ათი ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, რომლებიც თავმოყრილია მსხვილ ურბანულ ლოკაციებში: თბილისში (ორი ცენტრი), რუსთავში, გორში, ქუთაისში, თელავში, ბათუმში, ფოთში, ზუგდიდსა და ახალციხეში[1].

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრები ფორმალურად ანგარიშვალდებულნი არიან განათლების სამინისტროს წინაშე, მიგრანტი მშობლების

[1] (https://befriend.mes.gov.ge/psychologists)

შვილების სპეციფიკური საჭიროებების მონიტორინგი და მართვა რეგლამენტით განსაზღვრული არ არის (მანდატურის სამსახური 2024). შესაბამისად, სამინისტროს დონეზე არ არსებობს კონკრეტული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა ამ ჯგუფისთვის მიზნობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებას, სერვისების სტანდარტიზაციას და პროგრესის სისტემურ კონტროლს. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ზღუდავს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრებში არსებული პრაქტიკის ეფექტიანობას და ქმნის პოლიტიკის დაგეგმვის მნიშვნელოვან ხარვეზს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი (საქართველოს მთავრობა 2019), რომელიც განიხილავს არალეგალური შრომით მიგრაციასთან დაკავშირებულ გამოწვევეს, არ ითვალსიწინებს მიგრნატი მშობლების შვილების საჭიროებებს. სოციალური მომსახურების სააგენტოს პროგრამებში (Moh.gov.ge 2024) არ არის გათვალისწინებული ტრანსნაციონალური ოჯახების ტრანზაქციური გამოწვევები და მიგრანტი მშობლების ბავშვების კეთილდღეობაზე მორგებული სპეციალური პროგრამები. გარდა აღნიშნულისა, სოციალური მომსახურების სააგენტო ვერ უზრუნველყოფს ინტეგრირებულ თანამშრომლობას სკოლასთან, ოჯახთან და სოციალურ/ჯანდაცვით სერვისებთან, რაც ზღუდავს მიგრანტი მშობლების შვილების საჭიროებების დროულ და ეფექტურ დამუშავებას, ხოლო მონიტორინგისა და შედეგების შეფასების ნაკლებობა ამცირებს პოლიტიკის პრაქტიკულ ეფექტურობას (სმს 2021). არ არსებობს ინსტიტუციურად გაწერილი, ინტეგრირებული მხარდაჭერის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა ბავშვის საჭიროებების სრულმასშტაბიან შეფასებასა და შესაბამის ინტერვენციებს.

მიგრაციის ეროვნული სტრატეგია

მიგრაციის ეროვნული სტრატეგიასა (2021-2030) და სამოქმედო გეგმებში (2015-2025) (მსსკ 2020) არსებობს სერიოზული ხარვეზი მიგრანტი მშობლების შვილების კონკრეტულ, გაზომვად ინდიკატორებთან და ბიუჯეტირებულ აქტივობებთან მიმართებაში. სტრატეგიაში არ არის გაწერილი: ა) მიგრაციული პროცესით გამოწვეული მშობლის არყოფნის ეფექტების სისტემური შეფასების მექანიზმი; ბ) უწყებათაშორისი კოორდინაციის მოდელი, რომელიც დააკავშირებდა სკოლას, ფსიქოსოციალურ ცენტრებსა და სოციალურ მუშაკებს; გ) კონკრეტული ინტერვენციები, რომლებიც უზრუნველყოფდა მიგრანტი მშობლების შვილების ემოციური, აკადემიური და სოციალური საჭიროებების ინტეგრირებულ მხარდაჭერას.

შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგია დეკლარატიულად აღიარებს მიგრაციის სოციალურ გავლენას, იგი ვერ უზრუნველყოფს ამ ჯგუფის საჭიროებების ინსტიტუციონალიზაციას—ანუ არ განსაზღვრავს ვერც პასუხისმგებელ უწყებებს, ვერც მონიტორინგის ფორმატებს, ვერც ზომვად შედეგებს. ეს გულისხმობს, რომ მიგრაციის პოლიტიკა ვერ ქმნის იმ ჩარჩოს, რომელიც ბავშვების კეთილდღეობას გადაიყვანდა პრიორიტეტულ მიმართულებად და არა მხოლოდ ზოგად პრინციპად.

სამართლებრივი რისკები

ფართო სოციალური სტატისტიკა მიგრანტი მშობლების შვილების მოწყვლადობას ცალკე არ გამოყოფს, მაგრამ ირიბი მონაცემები რისკებზე მიუთითებს. მშობლის არყოფნა ან მიგრაცია ქმნის რისკის მაღალ ფაქტორებს ქცევითი პრობლემებისა და სოციალური

დეზადაპტაციისთვის. ეს კორელაცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა სისხლის სამართლის კონტექსტშიც. მაგალითად, საქართველოს გენერალური პროკურატურის (2023) სტატისტიკური მონაცემებით, 2022 წელს - 2022 წელს არასრულწლოვანთა **განრიდებისა და მედიაციის** მექანიზმი გამოყენებულ იქნა 585 არასრულწლოვნის მიმართ. აღსანიშნავია, რომ 124 არასრულწლოვნის (21%) ერთი ან ორივე მშობელი საზღვარგარეთ იმყოფებოდა: აქედან, 18 არასრულწლოვნის ორივე მშობელი, 65 არასრულწლოვნის - მამა, ხოლო 41 არასრულწლოვნის - დედა იმყოფებოდა საზღვარგარეთ. ეს მონაცემი ხაზს უსვამს მშობლის სრულფასოვანი ზრუნვის არარსებობის კრიტიკულ გავლენას არასრულწლოვნის სოციალურ უსაფრთხოებასა და უფლებრივ მდგომარეობაზე, რაც რისკის შემცველი ქცევის გაზრდილ ალბათობას უკავშირდება. მიუხედავად ამ მკაფიო ტენდენციებისა, სახელმწიფო დონეზე არ არსებობს მიზნობრივი პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც შეამცირებდა ამ კატეგორიის ბავშვების სამართლებრივ და სოციალურ მოწყვლადობას. ასევე არ არსებობს სისტემური მონიტორინგის მექანიზმები, მატ შორის, არც უწყებათაშორისი რეაგირების მოდელი და არც სპეციალიზებული მხარდაჭერის პროგრამები. შედეგად, ბავშვები, რომელთა მშობლებიც მიგრაციაში იმყოფებიან, ხშირად რჩებიან დაუცველები როგორც საგანმანათლებლო, ისე სამართლებრივი რისკების წინაშე.

სახალხო დამცველის მანდატი

საქართველოს სახალხო დამცველი, 2010 წლის შემდეგ გამოცემულ ანგარიშებში[2], არ ამახვილებს ყურადღებას მიგრანტი მშობლების შვილების უფლებების დაცვის საკითხზე, რაც კიდევ უფრო ზრდის მიგრანტი მშობლების შვილების მოწყვლადობას.

ადგილობრივი თვითმმართველობები და მუნიციპალური სტრატეგიები

საქართველოს მუნიციპალიტეტების სოციალური განვითარების პროგრამების (საქართველოს მთავრობა 2024) ანალიზის მიხედვით, ჩანს, რომ ისინი ვერ პასუხობენ მიგრანტი მშობლების შვილების სპეციფიკურ საჭიროებებს. პროგრამებში არ არის გათვალისწინებული მიზნობრივი მხარდაჭერა ემიგრანტი მშობლების ბავშვებისთვის და არ უზრუნველყოფს გრძელვადიან მონიტორინგს მათი ფსიქოლოგიური და სხვა საჭიროებების სფეროში. განათლებისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის გეგმებში არ არის შემუშავებული სისტემური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მიგრანტი მშობლების ბავშვების ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ განვითარების ერთიან მიდგომას, ან კოორდინაციას სხვა უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მათი ერთობლივი მხარდაჭერისთვის, რაც ქმნის ხარვეზს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემურ უზრუნველყოფაში.

თავი III: ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

3.1. შესავალი: ტრანსნაციონალური მიგრაციის თანამედროვე დინამიკა

ტრანსნაციონალური მიგრაცია თანამედროვე გლობალური უთანასწორობის, შრომითი ბაზრების დისბალანსისა და სოციალური დინამიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. მისი შედეგები განსაკუთრებით მწვავედ აისახება ბავშვებზე, რომლებიც

[2] https://ombudsman.ge/geo/angarishebi

წარმომავლობის ქვეყანაში მშობლის გარეშე რჩებიან. ეს ჯგუფი დღეს უკვე აღიქმება არა უბრალოდ „სოციალურად მოწყვლად ჯგუფად“, არამედ გლობალური სოციალური პოლიტიკის სწრაფად მზარდ სამიზნე კატეგორიად (UNICEF 2017; IOM Mission to Georgia 2021).

მიგრანტი მშობლების შვილების საკითხი საერთაშორისო ასპარეზზე უკვე წლებია დგას როგორც კრიტიკული სოციალური პრობლემა; მიუხედავად ამისა, რიგ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) პოლიტიკურ და სტრატეგიულ დოკუმენტებში იგი კვლავ მინიმალურადაა განხილული.

საერთაშორისო კვლევები (Chen and Zhou 2021; Jordan and Graham 2012; Bălțătescu et al. 2023; Lu and Pang 2022; Guo 2023) ცხადყოფს, რომ მშობლის მიგრაციის მაღალი მაჩვენებლების მქონე სახელმწიფოები (ფილიპინები, ნეპალი, მექსიკა, ჩინეთი, რუმინეთი, მოლდოვა, უკრაინა და სხვ.) უკვე ათწლეულებია იკვლევენ ამ საკითხს, ქმნიან პოლიტიკურ ჩარჩოებს, საგანმანათლებლო პროგრამებს, სოციალური დაცვის მექანიზმებს და ფსიქოსოციალურ მხარდაჭერის სტრუქტურებს.

საქართველოში კი ეს საკითხი კვლავ არასაკმარისადაა შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციის მასშტაბები და ზეგავლენა ბავშვებზე სწრაფად იზრდება.

3.2. ტრანსნაციონალური მიგრაცია და მიგრანტი მშობლების ბავშვების ფსიქოსოციალური გამოწვევები

ტრანსნაციონალური შრომითი მიგრაცია, რომელიც გულისხმობს მშობლთან ხანგრძლივ განშორებას, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქოსოციალურ განვითარებაზე. არსებული კვლევების თანახმად, მშობლის არყოფნა ხშირად უკავშირდება ზრუნვისა და ზედამხედველობის დეფიციტს, ემოციური ხელმისაწვდომობის ნაკლებობას და არასტაბილურ მიჯაჭვულობას, რაც წარმოადგნეს განვითარების მრავალგანზომილებიანი რისკის ფაქტორს (Zhao et al. 2018).

მრავალ ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, ზრუნვის დეფიციტი ბავშვებში მრავალმხრივად აისახება მათ ემოციურ, კოგნიტიურ და ქცევით განვითარებაზე. ერთ-ერთი ყველაზე ხშირი შედეგია ემოციური სიმპტომების გაძლიერება, რაც მოიცავს შფოთვას, დეპრესიულ განწყობას, განწყობის ლაბილობასა, ზრდასრულობის სიმპტომებს (adultification), თვითმკვლელობის მაჩვენებლებს და მუდმივი მარტოობის განცდას (Fellmeth et al. 2018; UNICEF 2017; World Bank 2018).

ლიტერატურა ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ მიგრანტი მშობლების შვილები განიცდიან გაძლიერებულ ფსიქიკურ სტრესს სხვა ბავშვებთან შედარებით: მათ უჭირთ სტრესის მართვა და თანატოლებთან ან უფროსებთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბება ასევე ქვეითდება თვითშეფასება და იმატებს ქცევითი პრობლემების რისკი (Battistella and Conaco 1998; Dillon and Walsh 2012; Liu et al. 2023;Antia et al. 2022; Liu et al. 2023). ამ ჯგუფს შემცირებული აქვთ ცხოვრებით კმაყოფილება (life satisfaction) და ახასიათებთ აკადემიური ჩამორჩენა (Song et al. 2018; Zhao et al. 2018), რაც ასევე ფიქსირდება მოლდოვაში ჩატარებულ კვლევებში (Gassmann et al. 2018), სადაც დასტურდება რომ მშობლის ემიგრაციის შემდეგ ბავშვებში მნიშვნელოვნად იზრდება ემოციური დისტრესი და აკადემიური მიღწევების შემცირება. მსოფლიო ბანკის (World Bank 2018) კვლევა ხაზს

უსვამს ქცევით სირთლეებს — აგრესიულობას, მოტივაციის დაკარგვასა და სკოლის გაცდენას. მშობლებთან რეგულარული, მაგრამ არასრულყოფილი კომუნიკაციის ნაკლებობა ზრდის ფსიქო-სოციალური დისბალანსის ალბათობას, ამცირებს სოციალური ინტეგრაციის უნარს, იწვევს სოციალური უნარების ჩამოუყალიბებლობას და თანატოლებთან ურთიერთობის გაძნელებას, რაც მომავალში შეიძლება გადაიზარდოს იზოლაციაში (Zhou et al. 2021).

რისკის დონე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე, თანმხლებ სოციალურ მხარდაჭერაზე, ოჯახის ფუნქციონირების ხარისხსა და მეურვის (ბებია-ბაბუა, ნათესავი) ზრუნვის ხარისხზე (Valtolina and Colombo 2012; Zhao et al. 2018). კვლევები აჩვენებს, რომ ბავშვები, რომლებიც თუნდაც ერთ მშობელთან ცხოვრობდნენ, ზოგჯერ უკეთესად გრძნობდნენ თავს, ვიდრე მხოლოდ ბებია-ბაბუასთან ან სხვა ახლობელთან. თუმცა, ორივე შემთხვევაში შედეგებზე ზეგავლენას ახდენს ზრუნვის ხარისხი, ემოციური ხელმისაწვდომობა და ურთიერთობის სტაბილურობა (Zhao et al. 2018).

ემოციურ სირთულეებთან ერთად მნიშვნელოვანი გამოწვევებია კოგნიტიურ-სასკოლო ფუნქციონირების სფეროშიც. ზრუნვის დეფიციტი და ოჯახური სტრუქტურის ტრანსფორმაცია ხშირად იწვევს ყურადღების დაქვეითებას, აკადემიურ ჩამორჩენას და სასწავლო მოტივაციის დაკარგვას. ასეთ პირობებში ბავშვები ნაკლებად ჩართულები არიან სასწავლო პროცესში, რაც მომავალში ზღუდავს მათ აკადემიურ და პროფესიულ პერსპექტივებს (El Alaoui and Ahbala 2024). ზრუნვის დეფიციტს თან ახლავს ქცევითი დისრეგულაციაც. ბავშვები ხშირად ავლენენ აგრესიულ ქცევას, ჩართულნი არიან თანატოლებთან ან მასწავლებლებთან კონფლიქტებში და უფრო მეტად არიან მიდრეკილნი რისკიანი ქცევებისკენ, რაც განპირობებულია როგორც ემოციური რეგულაციის სირთულეებით, ასევე უსაფრთხო და სტაბილური ურთიერთობების ნაკლებობით (Dong et al. 2022). ამრიგად, ზრუნვის დეფიციტი არ არის მხოლოდ დროებითი ხასიათის დანაკლისი არამედ მრავალგანზომილებიანი ფაქტორი, რომელიც თანდათანობით ზეგავლენას ახდენს ბავშვის ემოციურ, ინტელექტუალურ, ქცევით და თვითიდენტობის ფორმირების პროცესებზე. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს როგორც ოჯახური გარემოს, ისე სკოლისა და საზოგადოების ჩართულობის გადამწყვეტ როლს ბავშვის ფსიქოსოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.

3.3. ზრუნვის დეფიციტი და ოჯახური სტრუქტურის ტრანფორმაცია: მდგრადობის (Resilience) და მხარდაჭერის სისტემები

მიგრანტი მშობლების ბავშვების სოციალური ადაპტაციისა და კეთილდღეობის შესწავლა აჩვენებს, რომ ოჯახის სხვა წევრთა ზრუნვა, მიუხედავად ფიზიკური მოვლის უზრუნველყოფისა, ვერ ცვლის მშობლის უშუალო ემოციურ მხარდაჭერას, თუმცა ადგილობრივი მხარდაჭერის სისტემების (ბებია-ბაბუის, მასწავლებლების, სოციალური მუშაკებისა და სხვა სოციალური ქსელების) ხელმისაწვდომობა გადამწყვეტ როლს ასრულებს ნეგატიური ეფექტების შემცირებაში.

მშობლის ემიგრაციის გავლენა განსაკუთრებით ნათლად აიხსნება სამი ძირითადი თეორიული ჩარჩოს მეშვეობით: მიჯაჭვულობის თეორია (Bowlby 1992; Ainsworth et al. 2015), ეკოლოგიური სისტემების თეორია (Bronfenbrenner 2009) და ტრანზაქციული

მოდელი (Sameroff 2009). Bowlby-ის მიხედვით, ბავშვი მშობლის ურთიერთქმედებით ქმნის ემოციური რეგულაციის, უსაფრთხოების და თვითეფექტიანობის საფუძველს; შესაბამისად, მშობლის ხანგრძლივი ემოციური მიუწვდომლობა სისტემურად ამცირებს რეგულაციურ უნარებს და აღვივებს არასტაბილურ მიჯაჭვულობას (Bowlby 1992). Bronfenbrenner-ის (2009) ეკოლოგიური მოდელი გვეხმარება დავინახოთ, რომ მშობლის წასვლით ირღვევა არა მხოლოდ მიკროსისტემა (ოჯახი), არამედ მეზოსისტემაც — კავშირი სკოლასა და მშობელს შორის. Sameroff-ის (2009) ტრანზაქციული მოდელი კი განმარტავს, რომ ბავშვის რეაქცია ემიგრაციაზე (მაგ. აკადემიური მოტივაციის ზრდა მადლიერების ნიშნად) არის საპასუხო ტრანზაქცია გარემოსთან, რაც ხშირად პედაგოგებს ბავშვის რეალური ტრავმის იგნორირებისკენ უბიძგებს, რადგან სასკოლო „ნიშნები კარგია“. აღნიშნული ხედვა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რომ ბავშვის განვითარებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ პიროვნული თვისებები ან მხოლოდ გარემო, არამედ მათი მუდმივი და დინამიური ურთიერთქმედება.

თანამედროვე მედეგობა (Resilience) კვლევები (He et al. 2022; Zhou et al. 2021; Qu et al. 2020; Jordan and Graham 2012; Masten and Barnes 2018) ბავშვების ადაპტაციისა და მედეგობის გასაძლიერებლად ხაზს უსვამს მრავალდარგოვან და უწყებათაშორის მიდგომას, რომელიც აერთიანებს ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური მომსახურების სისტემებს. მიზანმიმართული და დროული ინტერვენციების მეშვეობით შესაძლებელია ემოციური და სოციალური ადაპტაციის რისკების შემცირება.

მშობლები, მასწავლებლები და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროს პროფესიონალები მნიშვნელოვან ლიდერულ როლს ასრულებენ მხარდაჭერის სისტემების გამყარებაში, რაც საშუალებას იძლევა, მიზანმიმართული და დროული ინტერვენციების მეშვეობით შემცირდეს ემოციური და სოციალური ადაპტაციის რისკები და გაძლიერდეს ბავშვების რესურსები, რათა მომავალში ისინი თავად გახდნენ საკუთარი თემისა და საზოგადოების მდგრადობის განმტკიცების აქტიური მონაწილეები (Masten and Barnes 2018).

3.4. გენდერული და კონტექსტუალური განსხვავებები

მიგრანტი მშობლების ბავშვების გამოცდილებები ხშირად განსხვავდება არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გარემოების მიხედვით, არამედ გენდერის ჭრილშიც. საერთაშორისო კვლევები (Gassmann et al. 2018; Antia et al. 2022) მიუთითებს, რომ გოგოები და ბიჭები სხვადასხვა ტიპის ემოციურ და ქცევით სირთულეებს აწყდებიან, რაც დიდწილად უკავშირდება მათზე დაკისრებულ როლებს, მოლოდინებსა და პასუხისმგებლობებს. მაგალითად, მოლდოვას და საქართველოს შემთხვევების შედარებითი ანალიზი (Gassmann et al. 2018) აჩვენებს, რომ გოგოები უფრო მეტად ავლენენ შფოთვასა და დეპრესიას, ხოლო ბიჭები — აგრესიულ და პრობლემურ ქცევებს, რაც შეიძლება იყოს როგორც კულტურული ნორმების, ისე ოჯახში ფუნქციური როლების გადანაწილების შედეგი.

კონტექსტუალური ფაქტორები — როგორიცაა მიგრაციის ხანგრძლივობა, კომუნიკაციის ხარისხი მშობელთან, ეკონომიკური მდგომარეობა და საზოგადოების მხარდაჭერის დონე — მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს, როგორ ვითარდება ბავშვის ფსიქო-სოციალური ადაპტაცია. სოფლის და ურბანული გარემო განსხვავებულ გავლენას ახდენენ: სოფლის

კონტექსტში, შესაძლოა, მეზობლებისა და ნათესაური ქსელების მხარდაჭერა უფრო ძლიერი იყოს, თუმცა განათლებისა და ფსიქოლოგიური დახმარების ხელმისაწვდომობა — შეზღუდული; ურბანულ გარემოში კი რესურსები უფრო მრავალფეროვანია, მაგრამ სოციალური იზოლაციის რისკი მაღალია (Mazzucato and Cebotari 2017).

მეზღვაურთა ოჯახების შემთხვევაში, ეს დინამიკა კიდევ უფრო რთულდება პროფესიული საქმიანობის სპეციფიკით. ვილიონისა და მიულერის (2012) თანახმად, „სამუშაო“ აღიქმება როგორც დომინანტური სოციალური არტეფაქტი, რომელიც თავად აკონსტრუირებს ოჯახის რეალობას და განსაზღვრავს ურთიერთობების შინაარსს. მეზღვაურთა შვილების მაგალითი აჩვენებს მამის, როგორც ავტორიტეტის, პერიოდული არყოფნის მძლავრ გავლენას. მაშინ როცა ემიგრანტი დედების შვილები ხშირად ემოციურ დეფიციტს განიცდიან, მეზღვაურთა შვილებში ხშირად იკვეთება დისციპლინური და ქცევითი ლაბილურობა, რაც მშობლის კონტრაქტიდან დაბრუნებისა და წასვლის ციკლებს უკავშირდება (Ainsworth et al. 2015).

კივიტას გეორგიკას (2025) კვლევის მიხედვით, მიგრანტი მშობლების ბავშვების გენდერული განსხვავებები მკვეთრად ჩანს მოვალეობების გადანაწილებაში: გოგოები უფრო ხშირად ასრულებენ საოჯახო სამუშაოებსა და ასევე უვლიან უმცროს და-ძმას, რაც ზრდის მათ დატვირთვას და ამცირებს სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესაძლებლობას. ამავე დროს, ბიჭები ზოგჯერ ნაკლებად იღებენ პასუხისმგებლობას საოჯახო საქმეებზე, თუმცა მშობლების არყოფნის გამო და უმეტეს შემთხვევაში მამის ემიგრაციაში ყოფნის გამო, ხშირად უწევთ სპორტული აქტივობისთვის თავის დანებება ან არ არიან სათანადოდ წარმატებულები, ზოგად მოტივირებულები სასწავლო პროცესის მიმართ.

გენდერული და კონტექსტუალური თავისებურებების გათვალისწინება აუცილებელია როგორც საგანმანათლებლო, ისე სოციალურ პოლიტიკაში, რათა სკოლებმა და ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ეფექტურად დაგეგმონ მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც არ იქნება ერთიანი, არამედ მოერგება კონკრეტულ ჯგუფებსა და გარემო პირობებს.

3.5. სკოლა როგორც დამცავი და მხარდაჭერის პლატფორმა

საგანმანათლებლო დაწესებულებებს[3] შეუძლია ნაწილობრივ „ჩაანაცვლოს“ მშობლის დაკარგული ზრუნვის რესურსები და შემდგომი ზემოქმედება განახორციელოს ბავშვის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე. საერთაშორისო კვლევები მიუთითებს, რომ სკოლის სოციალური-ემოციური სწავლება (Social and Emotional Learning – SEL) ხელს უწყობს შფოთვა-დეპრესიის შემცირებას, ავითარებს სოციალური უნარების კომპლექსს და აუმჯობესებს აკადემიურ შედეგებს (Durlak et al. 2011).

მკვლევრები (Luthar et al. 2000) ასევე ხაზს უსვამენ მასწავლებლის ცენტრალურ როლს ბავშვების კონგნიტურ და არაკოგნიტური უნარების განვითარებაზე და აღნიშნული

[3] წინამდებარე კვლევის ფარგლებში ტერმინები „სკოლა“და „საგანმანათლებლო დაწესებულება“ გამოიყენება სინონიმურად და გულისხმობს იმ ინსტიტუციურ გარემოს, სადაც ხორციელდება სასკოლო ასაკის ბავშვების განათლება და ფსიქოსოციალური მხარდაჭერა

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახში არსებული არასასურველი ფაქტორები – მაგალითად, მიგრანტი მშობლების არყოფნა – აფერხებს ბავშვთა აკადემიურ განვითარებას. სწორედ მასწავლებლის მხარდაჭერაა, ის დამაბალანსებელი მექანიზმი, რომელიც ამცირებს მშობლის არქყოფნით გამოწვეულ უარყოფით სტრესს. ამასთანავე, კვლევები (Lee and Simpkins 2021; Dong et al. 2023) ასევე მიუთითებს, რომ მასწავლებლის მხრიდან ძლიერი მხარდაჭერა ზრდის მოსწავლეთა აკადემიურ მოტივაციას, დამოუკიდებლობასა და სწავლისადმი მიდრეკილებას რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მასწავლებლის მხარდაჭერა არა მხოლოდ უშუალოდ განაპირობებს მოსწავლის აკადემიურ წარმატებას, არამედ ასრულებს შუამავლურ როლს მოსწავლის ოჯახურ და სასკოლო გარემოს შორის და ხელს უწყობს მის ადაპტაციას.

სოციალური ფუნქციების თვალსაზრისით, სკოლა ქმნის საზოგადოების მოდელს, რომელიც ბავშვებს ერთიანობისა და მხარდაჭერის განცდას აძლევს. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანატოლებთან ურთიერთობები, რადგან კვლევების მიხედვით, ისინი ხშირად ყველაზე ძლიერი სოციალური მხარდაჭერის წყარო არიან შინდარჩენილი ბავშვებისთვის და პირდაპირ კავშირშია მათ სუბიექტურ კეთილდღეობასთან და ფსიქოლოგიურ მდგრადობასთან (Dong et al. 2023). მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის წევრებისა და მასწავლებლების მხარდაჭერა თეორიულად უნდა წარმოადგენდეს ბავშვთა ფსიქო-სოციალური კეთილდღეობის მთავარ საყრდენს, ემპირიული მონაცემები აჩვენებს, რომ ემიგრანტი მშობლების ბავშვებში მხოლოდ თანატოლთა მხარდაჭერაა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაკავშირებული როგორც სუბიექტურ კეთილდღეობასთან, ასევე ფსიქო-ემოციურ მდგრადობასთან და დეპრესიის დონის შემცირებასთან (Dong et al. 2023). უფრო მეტიც, როდესაც ერთიან მოდელში გათვალისწინებულია ოჯახის, მასწავლებლისა და თანატოლის მხარდაჭერა, საბოლოოდ მხოლოდ თანატოლთა მხარდაჭერა ინარჩუნებს პროგნოზირების ძალას, რაც მიუთითებს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

ქართულ კონტექსტში პედაგოგები ცდილობენ შეასრულონ მშობლების „ჩამნაცვლებელის“ ფუნქცია და უზრუნველყონ ბავშვების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა, თუმცა აღიარებენ, რომ მათი რესურსები ჯანმრთელობისა და საგანმანათლებლო საჭიროებების სრულად დაკმაყოფილებისთვის არასაკმარისია (Antia et al. 2022). აქედან გამომდინარე, სკოლები განსაკუთრებულად საჭიროებენ გარე ინსტიტუციური მხარდაჭერის გაძლიერებას — როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სტრუქტურების მხრიდან.

ამრიგად, ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ტრანსნაციონალური მიგრაცია კომპლექსური ფენომენია, რომელიც ფუნდამენტურად ცვლის ბავშვის განვითარების ეკოსისტემას. მშობლის ფიზიკური არყოფნა იწვევს არა მხოლოდ ემოციურ დეფიციტსა და მიჯაჭვულობის დარღვევას, არამედ აიძულებს ბავშვს, მოერგოს ახალ სოციალურ როლებსა და მოლოდინებს, რაც ხშირად გენდერულ ჭრილშია დიფერენცირებული. თეორიული ჩარჩოების ანალიზი ადასტურებს, რომ მიუხედავად ოჯახური დისფუნქციის მაღალი რისკისა, სკოლასა და სოციალურ გარემოს (განსაკუთრებით თანატოლთა ქსელებს) გააჩნიათ მძლავრი კომპენსატორული პოტენციალი. სწორედ ამ რესურსების მობილიზებაზეა დამოკიდებული ემიგრანტი მშობლების შვილების ფსიქო-სოციალური მდგრადობა.

წინამდებარე თავში განხილული თეორიული და ემპირიული საფუძვლები. ქმნის მყარ ბაზისს კვლევის შემდეგი ეტაპისთვის, რომელიც მიზნად ისახავს უშუალოდ ქართულ რეალობაში არსებული მხარდაჭერის მექანიზმებისა და ბავშვთა ინდივიდუალური გამოცდილებების სიღრმისეულ შესწავლას.

თავი IV: კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი კვლევის დიზაინი დაფუძნებულია თვისებრივ მეთოდოლოგიაზე, რომელიც ფოკუსირებულია მიგრანტი მშობლების შვილების, პედაგოგებისა და მეურვეების სუბიექტური გამოცდილებების, ემოციური მდგომარეობისა და სოციალურ კონტექსტში მათი პოზიციის სიღრმისეულ გააზრებაზე და ეფუძნება არსებულ აკადემიურ პრაქტიკას.

მეთოდოლოგიის ვალიდურობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, კვლევის ინსტრუმენტები და დიზაინი გაზიარებული იყო საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკას პროექტ - „გაერთიანება სამშობლოში ბავშვების მხარდასაჭერად“ - ფარგლებში შექმნილ საკონსულტაციო საბჭოსთან, რომელიც აკადემიური წრეებისა და პროფილური ორგანიზაციების ექსპერტებით იყო დაკომპლექტებული. მათ მიერ მოწოდებული რეკომენდაციები საფუძვლად დაედო კვლევის საბოლოო სტრუქტურას.

4.1. სიღმისეული გაგების აუცილებლობა

მიგრანტი მშობლების შვილების გამოცდილება კომპლექსური სოციალური ფენომენია, რომელიც მოითხოვს არა მხოლოდ სტატისტიკურ აღრიცხვას, არამედ კონტექსტუალური მნიშვნელობების დადგენას. თვისებრივი კვლევა, კერძოდ კი ფენომენოლოგიური და „დასაბუთებული თეორიის“(*Grounded Theory*) მიდგომები, იდეალურია იმისათვის, რომ გამოვლინდეს, როგორ აღიქვამენ და განმარტავენ თავიანთ მდგომარეობას უშუალოდ ბავშვები და მათი მზრუნველები (Creswell and Poth 2018). რაოდენობრივი მონაცემები (მაგ., ემიგრანტთა რაოდენობა, გზავნილების მოცულობა) ვერ იტევს იმ ემოციურ ნიუანსებს, როგორიცაა მიტოვების განცდა, სტრესთან გამკლავების მექანიზმები ან მშობლის არყოფნის კულტურული ინტერპრეტაციები – ეს კი მხოლოდ თვისებრივი მეთოდებით მიიღწევა (Flick 2022).

კვლევის „ბავშვზე ორიენტირებული“ მიდგომა აკადემიურად აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს, როდესაც კვლევის საგანი მოწყვლადი ჯგუფია. ეს მიდგომა ეფუძნება ბავშვის უფლებათა კონვენციას და პოსტულატს, რომ ბავშვები არიან აქტიური აგენტები და მათი ხმა გადამწყვეტია მათი კეთილდღეობის შემფასებელ ნებისმიერ კვლევაში (Hodgkin et al. 2007; Hogan and Greene 2005). ამ ჯგუფთან მუშაობისას, სიღრმისეული ინტერვიუები და პროექციული ტექნიკები უზრუნველყოფს ეთიკურ და მგრძნობიარე გარემოს, რაც ბავშვებს საშუალებას აძლევს გამოხატონ რთული ემოციები, რასაც სტანდარტიზებული კითხვარები ვერ იტევს (Punch 2002).

4.2. ინტერსექციული და მრავალფაქტორული პერსპექტივის ინტეგრირება

მიგრაციის კვლევები ცხადყოფს, რომ მიგრანტ მშობელთა შვილების მდგომარეობა არის **ინტერსექციული** — მასზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ მშობლის არყოფნა, არამედ გენდერი, ასაკი, ეკონომიკური სტატუსი, კულტურული მოლოდინები და მზრუნველის პროფილი (Gassmann et al. 2018). თვისებრივი დიზაინი, რომელიც მოიცავს მრავალ მონაწილეს (ბავშვები, მეურვეები, მასწავლებლები), საშუალებას იძლევა, რომ ეს **მრავალფაქტორული პერსპექტივა** (Triangulation) ერთ მთლიანობაში იქნას განხილული. ეს მეთოდი ხელს უწყობს იმის იდენტიფიცირებას, თუ როგორ რეაგირებს სოციალური კონტექსტი (ოჯახი, სკოლა) ბავშვის გამოწვევებზე, რაც აუცილებელია სისტემური რეკომენდაციების შესამუშავებლად (Antia et al. 2022).

4.3. კვლევის დიზაინის მართვადობა და რესურსების ოპტიმიზაცია

როგორც Flick (2022) აღნიშნავს, კარგად ჩამოყალიბებული თვისებრივი დიზაინი პრობლემური ველის მართვად კომპონენტებად დაშლის საშუალებას იძლევა. საქართველოს კონტექსტში, სადაც ეროვნული აღრიცხვის მექანიზმი არ არსებობს (კივიტას გეორგიკა 2025), თვისებრივი კვლევა საშუალებას გვაძლევს, ფოკუსირება მოვახდინოთ ცოდნის დეფიციტის ზუსტად იმ არეალზე, სადაც ყველაზე მეტად არის საჭირო სიღრმისეული ინფორმაცია (ემოციური და ფსიქო-სოციალური გამოწვევები), რითაც რესურსების შეზღუდულობის პირობებშიც მიიღწევა მაღალი თეორიული ღირებულების მქონე შედეგები.

ამგვარად, თვისებრივი დიზაინი ამ კვლევისთვის არ არის უბრალოდ მეთოდოლოგიური არჩევანი, არამედ ეპისტემოლოგიური აუცილებლობა. ის საშუალებას იძლევა, მივიღოთ კონტექსტუალურად მდიდარი და სიღრმისეული მონაცემები, რაც შეუცვლელია როგორც ბავშვების სუბიექტური გამოცდილების გაგებისთვის, ასევე მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ეთიკურად გამართლებული და ეფექტური სოციალური პოლიტიკის შესაქმნელად.

4.4. შერჩევის სტრატეგია

ნიმუშის შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის (*Purposive Sampling*) და თოვლის გუნდის (*Snowball Sampling*) სტრატეგიების კომბინაციით. ეს მიდგომა სრულად გამართლებულია თვისებრივ კვლევაში, განსაკუთრებით კი მოწყვლად ან ძნელად მისადგომ ჯგუფებთან მუშაობისას.

მიზნობრივი შერჩევა მკვლევარს საშუალებას აძლევს, მიზანმიმართულად შეარჩიოს ის ინდივიდები (Patton 2015) (ბავშვები, მეურვეები, სკოლის პერსონალი), რომელთა გამოცდილება და ცოდნა კვლევის კონკრეტულ მიზნებთან — სუბიექტური გამოცდილებებისა და სისტემური რეაგირების ანალიზთან — არის დაკავშირებული. შერჩევის ეს მეთოდი უზრუნველყოფს, რომ მიღებული მონაცემები იყოს ინფორმაციული თვალსაზრისით მდიდარი.

თოვლის გუნდის შერჩევა აუცილებელია აღნიშნულ კონტექსტში, რადგან მიგრანტი მშობლების შვილების საკითხი ნაკლებად დოკუმენტირებულია. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, თავდაპირველად შერჩეული მონაწილეების დახმარებით მოხდეს სხვა შესაბამისი მონაწილეების იდენტიფიცირება, რითაც უმჯობესდება ძნელად მისადგომი ჯგუფების წარმომადგენლობა კვლევაში (Flick 2022).

4.5. რეგიონული და კონტექსტუალური აქცენტები

კვლევა მოიცავდა საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რეგიონს, განსაკუთრებული აქცენტით იმ არეალებზე, სადაც შრომითი მიგრაციის მაჩვენებელი სტატისტიკურად მაღალია: სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, ქვემო ქართლი, იმერეთი და კახეთი. მონაცემები შეგროვდა როგორც ურბანულ, ასევე სოფლის საჯარო და კერძო სკოლებში, რითაც უზრუნველყოფილი იქნა კონტექსტუალური ვალიდობა და მონაცემთა გეოგრაფიული დივერსიფიკაცია (ურბანული და სოფლის სკოლები), რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით.

4.6. მონაწილეთა კატეგორიები

- 10-18 წლის ასაკის ბავშვები, რომელთა ერთ-ერთი ან ორივე მშობელი იმყოფება შრომით მიგრაციაში;
- ბავშვების მეურვეები (დედა/მამა, ბებია-ბაბუები, ნათესავები, უფროსი და-ძმები);
- სკოლის პერსონალი (მასწავლებლები, დირექტორები).

4.7. ნიმუშის მოცულობა

კვლევის ფარგლებში თავდაპირველად დაგეგმილი იყო 48 ინტერვიუ, თუმცა რესპონდენტთა ემოციური მდგომარეობისა და კვლევის ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით, საბოლოო ნიმუში განისაზღვრა **45 რეალური ინტერვიუთი.** ნიმუშის მოცულობა მიჩნეულია საკმარისად თვისებრივი კვლევის სტანდარტების გათვალისწინებით, რადგან მისი მიზანი იყო არა სტატისტიკური განზოგადება, არამედ თეორიული გაჯერების (*Theoretical Saturation*) მიღწევა (Corbin and Strauss 2008).
ცხრილი (1) აღწერს სკოლის პერსონალის გადანაწილებას რეგიონებისა და გეოგრაფიული ზონების (ურბანული/არაურბანული) კონტექსტში; **ცხრილი (2)** - მეურვეთა გადანაწილებას რეგიონებისა და გეოგრაფიული ზონების (ურბანული/არაურბანული) კონტექსტში; **ცხრილი (3)** კი, კვლევაში მონაწილე ბავშვებთან ჩატარებული ინტერვიუების დემოგრაფიულ და მიგრაციულ მახასიათებლებს.

ცხრილი 1. სკოლის პერსონალის დემოგრაფიული მახასიათებლები და გეოგრაფიული გადანაწილება რეგიონების, ურბანული და სოფლის ზონების კონტექსტში

აღნიშვნა	პედაგოგის სქესი	რეგიონი	ურბანული/ არაურბანული ზონა	საჯარო/კერძო	საგანი	სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა	სკოლებში მმ ბავშვების რაოდენობა
P1	მდედრ.	სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	ურბანული	კერძო	**სამოქალაქო განათლება**	**≈ 500**	უცნობია
P2	მდედრ.	ქვემო ქართლის მხარე	არაურბანული	საჯარო	**ქართული ენა და ლიტერატურა**	**≈ 400**	-
P3	მამრ.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	-	-	**გეოგრაფია**	**≈ 600**	-
P4	მდედრ.	-	-	-	**მათემატიკა**	**≈500**	-
P5	მამრ.	თბილისი	ურბანული	კერძო	**გეოგრაფია**	**≈100**	-
P6	-	მცხეთა-მთიანეთის მხარე	-	საჯარო	**სამოქალაქო განათლება**	**≈700**	-
P7	მდედრ.	კახეთის მხარე	არაურბანული	საჯარო	**ქართული ენა და ლიტერატურა**	**≈300**	-
P8	-	იმერეთის მხარე	ურბანული	კერძო	**ადმინისტრაცია**	**≈300**	**≈51**
P9	-	სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	-	კერძო	**ადმინისტრაცია**	**≈500**	**≈40**
P10	-	გურიის მხარე	არაურბანული	საჯარო	**სამოქალაქო განათლება**	**≈ 400**	**≈60**
P11	მამრ.	შიდა ქართლის მხარე	ურბანული	-	**ადმინისტრაცია**	**≈ 500**	80
P12	მდედრ.	სამცხე-ჯავახეთის მხარე	-	საჯარო	**მათემატიკა**	**≈500**	უცნობია

ცხრილი 2. მეურვის დემოგრაფიული მახასიათებლები და გეოგრაფიული გადანაწილება რეგიონების, ურბანული და სოფლის ზონების კონტექსტში

აღნიშვნა	მეურვის სქესი	რეგიონი	მეურვის სტატუსი	ასაკი	მეურვეობის ქვეშ მყოფ პირთა რაოდენობა	მეურვეობის ქვეშ მყოფ პირთა ასაკი	ემიგრაციაში მყოფი პირ(ები)
M1	**მდედრ**	სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	**დედა**	**37**	**1**	**13**	**მეუღლე**
M2	**მამრ**	იმერეთის მხარე	**ბიძა**	**40**	**1**	**12**	**და**
M3	მდედრ	სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	ბებია	63	3	6 თვის 2 წლის 4 წლის	ორივე მშობელი
M4	-	-	და	23	1	13 წლის	დედა (განქორწინებულია)
M5	-	გურიის მხარე	დედა	43	1	12 წლის	მეუღლე
M6	-	შიდა ქართლის მხარე	-	56	2	9 წლის ტყუპები	-
M7	-	თბილისი	-	45	2	11 წლის 9 წლის	-
M8	-	სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	ბებია	72	1	14 წლის	ორივე მშობელი
M9	-	თბილისი	დედა	31	1	10 წლის	მეუღლე
M10	-	გურიის მხარე	-	45	3	11წლის 10 წლის 8წლის	-
M11	-	ქვემო ქართლის მხარე	მამიდა	38	2	6 წლის 12 წლის	ორივე მშობელი
M12	-	კახეთის მხარე	დედა	-	2	10 წლის 12 წლის	მეუღლე

ცხრილი 3. მოსწავლეთა დემოგრაფიული მახასიათებლები და გეოგრაფიული გადანაწილება რეგიონების, ურბანული და სოფლის ზონების კონტექსტში

აღნიშვნა	მოსწავლის სქესი	რეგიონი	ასაკი	დედმამიშვილი	ემიგრაციაში მყოფი მშობელი	ასაკი მშობლ(ებ)ის ემიგრაციაში წასვლისას	მეურვე	კლასი
S1	მდედრ.	სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	16	ძმა (უფროსი)	ორივე	9	ბებია	XI
S2	-	გურიის მხარე	16	და/ძმა (უფროსები)	დედა	-	ბებია	-
S3	-	-	15	დედისერთა	მამა	10	დედა	X
S4	-	სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	13	-	ორივე	4	ბებია/ბაბუა	VIII
S5	-	თბილისი	17	ძმა (უმცროსი)	დედა	15	მამა	XII
S6	მამრ.	გურიის მხარე	16	ძმა (უფროსი)	ორივე	9	ბებია	XI
S7	-	სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	16	ძმა (უმცროსი)	დედა	3	ბებია	XI
S8	მდედრ.	გურიის მხარე	14	დედისერთა	ორივე	5	ბებია	VIII
S9	-	იმერეთის მხარე	17	და/ძმა (უფროსები)	დედა	7	ბებია/ბაბუა	XI
S10	-	-	13	ძმა (უმცროსი)	მამა	8	დედა	VII
S11	-	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	16	ორი და (ერთი უფროსი და ერთი უმცროსი)	-	3	-	XI
S12	-	-	17	და (უმცროსი)	-	4	-	XII
S13	-	სამგრელო-ზემო სვანეთის მხარე	13	-	-	2	-	VIII
S14	-	გურიის მხარე	10	ძმა (უფროსი)	დედა	1	მამა	V
S15	-	სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე	-	დედისერთა	-	9	-	-
S16	-	აჭარის ავტონომიურ	15	-	ორივე	-	ბებია/ბაბუა	X

		ი რესპუბლიკა						
S17	-	შიდა ქართლის	16	ძმა (უფროსი)	დედა	13	-	XI
S18	მამრ.	იმერეთის მხარე	16	-	მამა	4	დედა	XI
S19	-	კახეთის მხარე	13	დედისერთა	-	3	დედა	VII
S20	-	იმერეთის მხარე	15	ძმა (უმცროსი)	-	9	დედა	X
S21	-	ქვემო ქართლის მხარე	16	დედისერთა	-	5	ბებია/ბაბუ ა	XI

4.8. მონაცემების შეგროვების პროცედურა

მონაცემების შეგროვება განხორციელდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების ფორმატით, რომელიც მორგებული იყო თითოეული მონაწილეთა ჯგუფის (ბავშვები, მეურვეები, სკოლის პერსონალი) სპეციფიკურ საჭიროებებსა და კონტექსტზე. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფდა, ერთი მხრივ, კვლევის ძირითადი თემების თანმიმდევრულ მოცვას, ხოლო მეორე მხრივ, მონაწილეებს აძლევდა საშუალებას, თავისუფლად ესაუბრათ საკუთარ უნიკალურ გამოცდილებებზე (Flick 2022).

ეთიკური პროცედურები: კვლევის ყველა ეტაპზე დაცული იყო ეთიკის ძირითადი პრინციპები, რაც მოიცავდა მონაწილეებისგან ინფორმირებული თანხმობის მიღებას (ბავშვების შემთხვევაში – მშობლის/მეურვის თანხმობა), კონფიდენციალურობის სრულ გარანტიას და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ინტერვიუების კონტექსტი: ინტერვიუების ხანგრძლივობა 20-დან 40 წუთამდე მერყეობდა. ისინი ჩაატარა კვლევის ასისტენტმა როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ ფორმატში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინტერვიუების გარემოს: ინტერვიუების აბსოლუტური უმრავლესობა ჩატარდა ინდივიდუალურად, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ღია და თავისუფალი კომუნიკაცია. აღიარებულია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მეურვის დასწრებას (ორი ინტერვიუ) შესაძლოა გავლენა მოახდინა ბავშვის გულწრფელობაზე (Einarsdóttir 2007; Hill 2006), თუმცა მკვლევარი ცდილობდა ამ ფაქტორის მინიმიზაციას და პოტენციური მიკერძოების გათვალისწინებას ანალიზის ეტაპზე.

4.9. მონაცემთა ანალიზი

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა **თემატური ანალიზის** (*Thematic Analysis*) მეთოდოლოგიის გამოყენებით (Braun and Clarke 2022). ამ მეთოდმა შესაძლებელი გახადა მიგრანტი მშობლების შვილების, მათი მეურვეებისა და სკოლის წარმომადგენლების

გამოცდილებების სიღრმისეული იდენტიფიცირება, ანალიზი და ინტერპრეტაცია, რამაც საბოლოოდ უზრუნველყო ძირითადი ნიმუშებისა და თემების გამოკვეთა.

კოდირების სტრატეგია: ანალიზის პროცესში გამოყენებულ იქნა **შერეული კოდირების სტრატეგია — ინდუქტიური** (*data-driven*) და **დედუქტიური** (*theory-driven*) მიდგომების კომბინაცია. დედუქციური მიდგომა გულისხმობდა არსებული თეორიული ჩარჩოების (მაგ., მიგრაციის ზეგავლენის თეორიები) ინტეგრირებას წინასწარი კოდების სახით. ინდუქციური მიდგომა, კი შესაძლებლობას იძლეოდა, ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებით გამოკვეთილიყო ახალი, მოულოდნელი თემები, რომლებიც საქართველოს კონტექსტისთვის იყო სპეციფიკური.

ანალიზის პროცესის თანმიმდევრობა: ანალიზის პროცესი მიმდინარეობდა მონაცემების შეგროვების პარალელურად. ინტერვიუების ჩანაწერების ეტაპობრივი კოდირება საშუალებას იძლეოდა, საჭიროების შემთხვევაში, მომდევნო ინტერვიუს გეგმა დახვეწილიყო და კვლევის ფოკუსი უკეთ მორგებოდა მონაწილეთა გამოცდილებებს. აღნიშნული ეყრნობოდა ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის (*Grounded Theory*) პრინციპებს (Corbin and Strauss 2008) და მიზნად ისახავდა შინაარსობრივად მდიდარი კატეგორიების ჩამოყალიბებას ღია, აქტიური და შერჩევითი კოდირების თანმიმდევრული პროცესის საშუალებით.

დამატებითი ანალიტიკური ჭრილები:

- **შედარებითი ანალიზი:** ჩატარდა რეგიონული და მონაწილეთა კატეგორიების (ბავშვები vs. მეურვეები vs. სკოლის პერსონალი) შედარებითი ანალიზი, რათა გამოვლენილიყო განსხვავებები და საერთო ნიმუშები.
- **დემოგრაფიული ჭრილი:** შედეგები წარმოდგენილი იქნა გენდერული და ასაკობრივი ჭრილით, რათა დადგენილიყო მიგრაციის ზეგავლენის სპეციფიკა სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფზე.
- **ტრიანგულაცია:** გამოყენებულ იქნა **მრავალმხრივი პერსპექტივის** (*triangulation*) წარმოჩენა, რაც აერთიანებდა ბავშვების, მეურვეებისა და სკოლის პერსონალის შეხედულებებს. ამან შექმნა მიგრანტი მშობლების შვილების საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ კომპლექსური და ვალიდური სურათი.

4.10. კვლევის ვალიდობა და სანდოობა (Trustworthiness)

თვისებრივი კვლევის ხარისხის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ იქნა ლინკოლნისა და გუბას (1985) კრიტერიუმები:

- **სანდოობა (Credibility):** მიიღწევა მონაცემთა ტრიანგულაციით — სამი სხვადასხვა ჯგუფის (ბავშვები, მეურვეები, პედაგოგები) გამოკითხვით.
- **ტრანსფერაბილურობა (Transferability):** უზრუნველყოფილია „სქელი აღწერის“ (Thick Description) მეთოდით, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, შედეგები მოარგოს მსგავს სოციალურ კონტექსტებს.
- **რეფლექსიურობა (Reflexivity):** კვლევის ვალიდობის უზრუნველსაყოფად, რეფლექსიურობის პრინციპი დაცული იყო ორ დონეზე. ვინაიდან ინტერვიუებს მკვლევრის ასისტენტი ატარებდა, უზრუნველყოფილი იყო მკვლევრის გარკვეული ანალიტიკური დისტანცია საველე პროცესისგან. მონაცემთა ინტერპრეტაციის ეტაპზე

მკვლევარი მუდმივად ახდენდა საკუთარი წინასწარი განწყობების რეფლექსიას, რათა ასისტენტის მიერ მოწოდებული ნარატივების ანალიზი ყოფილიყო ობიექტური და მკვლევრის სუბიექტურ ხედვას არ მოეხდინა ბავშვების ემოციური გამოცდილების მიკერძოებული ინტერპრეტაცია.

4.11. კვლევის შეზღუდვები

ნებისმიერ თვისებრივ კვლევას და მათ შორის წინამდებარე ნაშრომსაც აქვს თავისი შეზღუდვები:

1. **კვლევის ფარგლები და ანალიტიკური განზოგადება:** თვისებრივი პარადიგმის შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი არ ისახავს მიზნად შედეგების სტატისტიკურ ექსტრაპოლაციას მთელ პოპულაციაზე. 45 სიღრმისეული ინტერვიუ წარმოადგენს მოცულობით ნიმუშს, რაც სრულად უზრუნველყოფს მონაცემთა გაჯერებას. შესაბამისად, კვლევა ორიენტირებულია ანალიტიკურ განზოგადებაზე.
2. **ემოციური ბარიერი:** სამმა მოსწავლემ უარი თქვა ინტერვიუზე ემოციური სტრესის გამო, რაც შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ყველაზე მძიმე ტრავმის მქონე ბავშვების ხმა კვლევაში ნაკლებადაა წარმოდგენილი.
3. **სოციალური სასურველობის ეფექტი:** ზოგიერთ ინტერვიუზე მეურვის დასწრებამ შესაძლოა შეზღუდა ბავშვების გულწრფელობა მშობლის მონატრების ან ოჯახური სირთულეების შესახებ.

თავი V: კვლევის მიგნებები და შედეგების ანალიზი

5.1. პედაგოგთა პერსპექტივები ემიგრანტი მშობლების შვილებთან დაკავშირებით

პედაგოგებთან ჩატარებულმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა მკაფიოდ წარმოაჩინა, რომ მშობლის ემიგრაციაში ყოფნა მრავალგანზომილებიან გავლენას ახდენს ბავშვთა აკადემიურ და სოციალურ ცხოვრებაზე, მიუხედავად იმისა, რომ სკოლები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ინფრასტრუქტურით, რესურსებითა და მხარდაჭერის პროგრამებით. სხვადასხვა სკოლიდან მიღებული მასწავლებლების ნარატივი მაინც ქმნის ერთიან სურათს იმ პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ, რომლებიც ყველაზე ხშირად იჩენს თავს. კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი ტენდენციების ანალიზი აჩვენებს, რომ ემიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერის ხარისხი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სასკოლო გარემოსა და არსებულ რესურსებზე. ინტერვიუებმა გამოავლინა მკვეთრი დიფერენციაცია საჯარო და კერძო სკოლების მიდგომებს შორის. ეს დიფერენციაცია მიუთითებს **ინსტიტუციურ „სიბრმავეზე** “, სადაც სახელმწიფო სისტემა ვერ ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას, რაც პედაგოგებს აიძულებს, ყოველდღიურ რეჟიმში ინტუიციურად შეითავსონ თერაპევტის როლი. ქვემოთ მოცემული **ცხრილი (4)** აჯამებს იმ ძირითად სტრუქტურულ და პრაქტიკულ სხვაობებს, რომლებიც

რესპონდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა და ნათლად წარმოაჩენს თითოეული სექტორის წინაშე არსებულ სპეციფიკურ გამოწვევებს.

ცხრილი 4. ემიგრანტი მშობლების შვილების მხარდაჭერის სისტემები (საჯარო vs კერძო სკოლა)

შედარების კრიტერიუმი	საჯარო სკოლა	კერძო სკოლა
ფსიქოლოგიური მხარდაჭერა	ხშირად არ არსებობს ან არის ფორმალური; ფსიქოლოგი გადატვირთულია.	ფსიქოლოგი სტაბილურადაა ჩართული, თუმცა რეაგირება ხდება მოთხოვნის საფუძველზე.
მოსწავლეთა აღრიცხვა	არ ხდება ემიგრანტი მშობლების შვილების მიზნობრივი სტატისტიკის წარმოება.	აღრიცხვა შედარებით მოწესრიგებულია, თუმცა სისტემური პოლიტიკა აქაც სუსტია.
კომუნიკაცია მეურვესთან	გართულებულია; ბებია-ბაბუები ხშირად ვერ ახერხებენ სკოლასთან თანამშრომლობას.	შედარებით ინტენსიურია, თუმცა მშობლის ჩანაცვლება მაინც პრობლემურია.
ბავშვთა უფლებები	დამოკიდებულია კონკრეტული პედაგოგის კეთილ ნებასა და ცნობიერებაზე.	ინტეგრირებულია ყოველდღიურ პრაქტიკაში (პროექტები, ვიდეორგოლები).
აკადემიური მონიტორინგი	დაბალია; მასწავლებლებს აკლიათ „ბერკეტები“ მოსწავლის მოტივაციისთვის.	მაღალია; სკოლა ცდილობს ინდივიდუალური მიდგომით შეავსოს მშობლის დეფიციტი.
მატერიალური რესურსები	მწირია; სკოლას არ აქვს სპეციალური პროგრამები ამ ჯგუფისთვის.	შედარებით მაღალია, რაც საშუალებას იძლევა კლასგარეშე აქტივობებში ჩართვისთვის.

მიგრაციის მასშტაბები და აღრიცხვიანობის პრობლემა

ინტერვიუების მიხედვით, თითქმის ყველა პედაგოგი აღნიშნავს, რომ ემიგრანტი მშობლის შვილები პრაქტიკულად ყველა კლასში გვხვდება:

> *„კლასი არ არის, რომ ბავშვი არ მყავდეს ემიგრანტი მშობლის“.* (P1)

აღნიშნული ცხადყოფს, რომ მიგრაციის პროცესმა საქართველოში მასობრივი და სტრუქტურული სახე მიიღო. პედაგოგების გამოცდილება მიუთითებს, რომ სკოლები ხშირად არ აწარმოებენ სპეციალურ სტატისტიკას მსგავსი მოსწავლეების შესახებ, რის გამოც მათი საჭიროებები სისტემურად საერთოდ არ აისახება.

„ევროპის სკოლებში მე როგორც ვიცი, ხდება ავტომატურად აღრიცხვაზე აყვანა, აქ — არა“ (P7)

„სისტემა მორღვეულია… საერთოდ არ არის ორიენტირებული ამ ბავშვებზე“ (P1).

ფსიქო-ემოციური მდგომარეობა

მიუხედავად ამისა, თავად მასწავლებლები კარგად იცნობენ კლასში არსებულ სიტუაციას და მუდმივად აკვირდებიან ბავშვების მდგომარეობას. ყველაზე ხშირად აღწერილი გამოწვევა უკავშირდება ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. თითქმის ყველა პედაგოგი ასახელებს დედისა და მამის არყოფნის შედეგად წარმოქმნილ სევდას, მონატრებას, მოტივაციის დაკარგვას, ჩაკეტილობას ან სუსტი ემოციური სტაბილურობის გამოვლინებებს.

“…ეტყობათ სირთულეები სწავლაში. და ეს სირთულეები გამოწვეულია მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობით… მუდმივად არიან მონატრებაში” (P9).

განსაკუთრებით ინტენსიური ემოციური რეაქციები შეინიშნება იმ ბავშვებში, რომელთაც დედა ჰყავთ ემიგრაციაში. ამ მხრივ პედაგოგთა მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა: დედის როლი ბავშვის ემოციურ დაბალანსებაში ექსპერტულად ძლიერია, ხოლო მისი არყოფნა, როგორც თავად მასწავლებლები ამბობენ, „მყისიერად აისახება“ბავშვის ყოველდღიურ ქცევაზე, მოტივაციაზე და აკადემიურ შედეგებზე.
პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ვიდეოზარები ვერ ანაცვლებს ფიზიკურ სიახლოვეს, მეტიც, ის ზოგჯერ ამძაფრებს ტკივილს. ერთ-ერთი პედაგოგი იხსენებს:

„ისინი ესაუბრებიან ეკრანს მიღმა, ხედავენ ამ მშობლებს თითქმის ყოველდღე, მაგრამ ეს არ არის საკმარისი... მართლა ტრაგედიაა“ (P1).

დანაკლისით გამოწვეული სტრესი ხშირად ფიზიკურ დონეზეც ვლინდება. ერთ-ერთი მასწავლებელი აღწერს მეშვიდე კლასელ გოგონას, რომელსაც დედის წასვლის შემდეგ მეტყველების სირთულეები დაეწყო:

„ეტყობა, ძალიან განიცდის. ისე ნერვიულობს, რომ მეტყველება გაუფუჭდა... ადრე სულ სხვანაირი იყო ეს ბავშვი“ (P10).

ბავშვები ხშირად მალავენ საკუთარ ტკივილს, რათა არ გამოჩნდნენ სუსტები, ან პირიქით, მიმართავენ პროვოკაციულ ქცევას, რათა მასწავლებლისგან მაინც მიიღონ ის ყურადღება, რომელიც სახლში აკლიათ (P8).

გენდერული ასპექტები

კვლევამ გამოკვეთა მკაფიო გენდერული განსხვავებები იმაში, თუ როგორ გამოხატავენ და უმკლავდებიან ბავშვები მშობლის არყოფნით გამოწვეულ ტრავმას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად საერთო ემოციური დანაკლისისა, ქცევითი რეაქციები სქესის ნიშნით რადიკალურად განსხვავებულია:

"ბიჭებთან უფრო ხშირად ფიქსირდება აგრესიული ან იმპულსური ქცევები, ხოლო გოგონებში – გაძლიერებული სენტიმენტალურობა და სევდა" (P1).

ბიჭებში მშობლის დანაკლისი ხშირად გარეგნულ ტრანსფორმაციაში გადადის, რაც ერთგვარი პროტესტის ფორმაა:

„დედა წავიდა თუ არა, სექტემბერში სულ შეცვლილი მოვიდა: გადაიხოტრა ნახევარი თავი, ტატუებით... პასუხისმგებლობა მოეხსნა, აღარც დავალებას წერდა, საერთოდ ჩამორჩა" (P12).

ხანგრძლივი განშორება ხშირად იწვევს ემოციური მიჯაჭვულობის გადამისამართებას მეურვეზე, რაც დედასთან გაუცხოების საფუძველი ხდება:

„ბებიასგან იმდენი სითბო ახსოვს, რომ ბებია მიაჩნია დედად... სკოლის დამთავრებისას დედა გვერდით არ ჰყავს და ბავშვი არც ამბობს დედაზე იმდენს, რამდენსაც ბებიაზე საუბრობს" (P1).

აკადემიური მოსწრება და მეურვეობის სირთულეები

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აკადემიურ შედეგებზე ზემოქმედებას. თითქმის ყველა პედაგოგი აღნიშნავს, რომ მშობლის ემიგრაცია უმეტესად იწვევს მოსწავლის აკადემიური მოსწრების დაქვეითებას.

"სადაც მშობელი არ არის ჩართული ბავშვის სწავლების პროცესის მონიტორინგში, აკადემიური ჩამორჩენა მკვეთრად თვალსაჩინოა" (P5).

პედაგოგების გამოცდილება ადასტურებს, რომ ბებია-ბაბუები და სხვა მეურვეები ხშირად ვერ ახერხებენ სკოლასთან მჭიდრო თანამშრომლობას — არა ინტერესის ნაკლებობის, არამედ მათი ასაკობრივი და სოციალური შესაძლებლობების შეზღუდულობის გამო. შედეგად, მასწავლებლებს „არ აქვთ ბერკეტი", როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა დაახასიათა, რადგან მათ გვერდით აღარ არიან მშობლები, რომლებიც ბავშვს ყოველდღიურად აძლევენ მოტივაციას ან აკონტროლებენ სასწავლო პროცესს.

"შეიძლება პატარაობისას ერევიან ბებია-ბაბუები, მაგრამ მაღალ კლასებში … ბებია-ბაბუა ვერ სდევენ ამ ბავშვებს" (P7).

"ბებიას რომ ვურეკავ რაღაცნაირად ხელს აფარებს, …. როცა ბავშვი სკოლაში არ დადის" (P8).

ინტერვიუებში მკვეთრად გამოიკვეთა ასევე სოციალური ინტეგრაციის საკითხი. პედაგოგთა ნაწილი ამბობს, რომ ემიგრანტი მშობლების შვილები ზოგჯერ განცალკევებულად გრძნობენ თავს და ხშირად ეჭვი აქვთ საკუთარ მნიშვნელობაზე ჯგუფში. ზოგიერთ სკოლაში თანატოლები იჩენენ მხარდაჭერას, თუმცა მასწავლებლების თქმით, ბავშვის თვითაღქმა უფრო დიდი გავლენის მატარებელია, ვიდრე თანატოლების რეალური ქცევა. ამ შემთხვევაში ბავშვები ხშირად თვლიან, რომ „დაჩაგრულები არიან"(P3) ან „მიუღებლები" P3), მაშინ როცა კლასი ასეთ დამოკიდებულებას რეალურად არ

გამოხატავს. ფსიქოლოგიური დაკვირვება და დელიკატური კომუნიკაცია ამ მხრივ მასწავლებლების ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად იხატება.

ფინანსური კეთილდღეობისა და ემოციური დეფიციტის პარადოქსი

ინტერვიუებში გამოვლინდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემაც — ფინანსური მხარდაჭერის პარადოქსი. პედაგოგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ემიგრაციაში მყოფი მშობლების მიერ გამოგზავნილი თანხა მატერიალუ მხარეს მართლაც აუმჯობესებს: ბავშვებს აქვთ თანამედროვე ტელეფონები, უკეთესი ტანსაცმელი და ზოგჯერ დამატებითი გაკვეთილების საფასურიც. მაგრამ მატერიალური კეთილდღეობა სრულად ვერ ანაცვლებს ემოციურ მხარდაჭერას. ერთ-ერთმა პედაგოგმა ეს ფენომენი ასე აღწერა:

> *„ფული რომ გამოგზავნილია, ორი დღე ბედნიერია, მაგრამ მერე ისევ ეტყობა, რომ რაღაც აკლია“ (P3).*

ამგვარი დაკვირვებები აჩვენებს, რომ ფინანსური უზრუნველყოფა მხოლოდ მოკლევადიანად მოქმედებს ბავშვის განწყობაზე, მაგრამ ვერ აკომპენსირებს მშობლის რეალურ არყოფნას, რაც განსაკუთრებით მძიმედ აისახება მოზარდობის პერიოდში.

ბავშვთა უფლებები და ინსტიტუციური მხარდაჭერა

მასწავლებლებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბავშვთა უფლებების დაცვა და ინფორმირებულობა. კერძო სკოლებში პედაგოგები აღნიშნავენ, რომ „ბავშვთა უფლებების პრინციპები კარგად არის ინტეგრირებული ყოველდღიურ პრაქტიკაში“ (P8), ხოლო საჯარო სკოლებში ეს „მეტად სუსტია“ (P9) და ხშირად დამოკიდებულია ცალკეული მასწავლებლის ცნობიერებასა და კეთილ ნებაზე.

ზოგ სკოლაში ბავშვთა უფლებების დაცვისა და ბულინგთან ბრძოლის მიმართულებით სისტემური მუშაობა განვითარებულია — ტარდება კვლევები, ვიდეორგოლები, პროექტები — თუმცა სხვაგან მსგავსი პრაქტიკები საერთოდ არ არსებობს. საჯარო სექტორის მასწავლებლები ხაზს უსვამენ, რომ ამ თემაზე მუშაობა უნდა გაძლიერდეს.

> *„სკოლებში უნდა გაძლიერდეს მუშაობა, რადგან ბავშვებისთვის არ არის ბოლომდე გასაგები, სად მთავრდება მათი უფლება და სად იწყება სხვისი“ (P12).*

საბოლოო სურათში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო სისტემა არ ფლობს საკმარის ინსტრუმენტებს ემიგრანტი მშობლების შვილების დასახმარებლად. რესპონდენტები ერთხმად ასახელებენ საჭიროებას, რომ სკოლებს, სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორს შორის უნდა გაძლიერდეს თანამშრომლობა, თუმცა თავად პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამ მხრივ სახელმწიფო აქტიურობას არ იჩენს.

მათი თქმით, სისტემური ცვლილებები აუცილებელია ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ზრდის, მასწავლებლების გადამზადების, სკოლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების და ბავშვთა საჭიროებების უკეთ იდენტიფიცირების მიმართულებით.

საგრძნობლად განსხვავდება სკოლების რესურსები და მხარდაჭერის სისტემა. კერძო სკოლებში, ფსიქოლოგის როლი ხშირ შემთხვევაში სტაბილურადაა ინტეგრირებული და

მასწავლებლები თანამშრომლობენ მასთან, თუმცა ფსიქოლოგები ბავშვებთან მხოლოდ მათი მოთხოვნით ერთვებიან, რაც თვითონ პედაგოგების შეფასებით არასაკმარისია. საჯარო სკოლებში კი სიტუაცია მკვეთრად განსხვავებულია: ფსიქოლოგის არარსებობა, გადატვირთული გარემო, მასწავლებლების დაბალი რესურსები და არაინტეგრირებული მუშაობა მნიშვნელოვნად ზღუდავს შესაძლებლობას, რომ სკოლა ეფექტურად გამოეხმაუროს ემიგრანტი მშობლების შვილების საჭიროებებს. ზოგჯერ მასწავლებლები ინდივიდუალურად ცდილობენ ამ სიცარიელის შევსებას, თუმცა ეს სისტემურ სტრუქტურებზე ვერ მოქმედებს.

ინტერვიუების ანალიზი გვაჩვენებს, რომ პედაგოგები პრობლემას ხედავენ არა როგორც ინდივიდუალურ შემთხვევას, არამედ სისტემურ და გრძელვადიან გამოწვევად, რომელიც მოითხოვს მრავალმხრივ რეაგირებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებლები ცდილობენ ბავშვებთან ემოციური მხარდაჭერისა და ნდობის გარემოს შექმნას, მათი ძალისხმევა ხშირად ვერ ანაცვლებს იმ ინსტიტუციურ მხარდაჭერას, რომელიც ამ პროცესს რეალურად უნდა ამყარებდეს.

5.2. მეურვეების პერსპექტივა

მეურვეებთან ჩატარებულმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ მშობლის ემიგრაცია წარმოშობს კომპლექსურ პასუხისმგებლობებს, რომლებიც ხშირად აღემატება მეურვეთა ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ რესურსებს. რესპონდენტთა ნარატივებში იკვეთება გარკვეული კანონზომიერებები, რომლებიც ეხება როგორც ბავშვთა ქცევით ცვლილებებს, ისე ფინანსური მართვისა და ინსტიტუციური იზოლაციის სირთულეებს. ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი ეს მრავალშრიანი გამოწვევები და მეურვეთა რეაგირების ფორმები სისტემატიზებულია ქვემოთ მოცემულ **ცხრილში (5)**, რომელიც ნათლად წარმოაჩენს იმ „უხილავ ტვირთს“, რასაც ოჯახის ეს წევრები ყოველდღიურ რეჟიმში ატარებენ:

ცხრილი 5: მეურვეთა გამოწვევების მატრიცა

გამოწვევის კატეგორია	მეურვეთა გამოცდილება (მიგნებები)	ტიპური რეაქცია/ციტატა
ფსიქოლოგიური ტვირთი	„ორმაგი მშობლობის“ სტრესი და მუდმივი შიში ბავშვის მომავალზე.	„სახლში მიწევს დედის და მამის როლის შეთავსება, რაც საკმაოდ სტრესულია“ (P5).
ფინანსური მართვა	არარეგულარული გზავნილები და მზარდი ხარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე.	„ხან აგზავნის, ხან არ აგზავნის... შეიძლება ადამიანი ვერ გაწვდეს ყველაფერს“ (P1).
ბავშვის ქცევის მართვა	ემოციური ლაბილურობა, „ბუტიაობა“ და პროტესტი შენიშვნების მიმართ.	„ცოტა უჭირთ შენიშვნის მიღება... სტრესი მერე ფიზიკურ ტკივილში გადასდის“ (P11).

გამოწვევის კატეგორია	მეურვეთა გამოცდილება (მიგნებები)	ტიპური რეაქცია/ციტატა
ინსტიტუციური იზოლაცია	სოციალური სერვისების და მიზნობრივი სახელმწიფო დახმარების არარსებობა.	„კაციშვილი არ მოსულა... არანაირი მხარდაჭერა, არაფერი საერთოდ“ (P2, P9).
ჯანდაცვის ბარიერი	კერძო კლინიკების მაღალი ფასი და სახელმწიფო დაზღვევის არაეფექტურობა.	„ჩვენ ყოველთვის გვჭირდება გეგმიური კვლევები... საყოველთაო დაზღვევა არ მუშაობს“ (P1).

ოჯახური სტრუქტურის ტრანსფორმაცია და პასუხისმგებლობების გადანაწილება

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მშობლის ემიგრაცია რადიკალურად ცვლის ოჯახურ დინამიკას. მეურვეობა ხშირად გადადის ბებიებზე, ბაბუებზე ან და-ძმებზე, რაც მათზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას აძლიერებს. მეურვეები აღნიშნავენ, რომ მათ უწევთ დედისა და მამის როლების შეთავსება, რაც განსაკუთრებით რთულია ხანდაზმული პირებისთვის.

- *„მთელი პასუხისმგებლობა ანუ დედ-მამის როლი... მთლიანად გადმომეგარა მე. ძალიან რთულია“ (M7).*
- *„პასუხისმგებლობა მეკისრება ყველაფრის... პენსიონერი ვარ და კიდევ მოხუც დედას ვუვლი, ფიზიკურად ძალიან რთულია ამხელა პასუხისმგებლობა“ (M11).*
- *„მე სამსახური არ მომკლებია... სახლში მიწევს დედის და მამის როლის შეთავსება, რაც საკმაოდ სტრესულია“ (M5).*

ფსიქო-ემოციური გამოწვევები: მონატრება, ჩაკეტილობა და ბუტიაობა

კვლევამ გამოკვეთა, რომ ბავშვებში ყველაზე თვალსაჩინო ცვლილება ემოციური დეფიციტია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მეურვე ქცევით დარღვევებს უარყოფს, სიღრმისეული საუბრისას ვლინდება მონატრება, სევდა, ჩაკეტილობა, დამალული მწუხარება.

- *„მამა ამბობს, სულ რაღაცნაირი თვალები აქვსო ამ ბავშვს, დანაღვლიანებული... ბებია-ბაბუა მეორე ხარისხოვანია, მთავარია დედა-მამა“ (M8).*
- *„დღიური ვიპოვე და აი მანდ ეწერა დედის მონატრება... მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოდგა აქ მყოფ მამასთან ურთიერთობის ნაკლებობა“ (M4).*
- *„ცოტა უჭირთ, მაგალითად რამე შენიშვნის მიღება... ბუტიაობა აქვთ ძალიან... ეს სტრესი მერე ფიზიკურ ტკივილში გადასდის“ (M11).*
- *„ბავშვი მე-6 კლასშია და სულ მოწყენილი სახე აქვს. ელოდება მამამისს როდის ჩამოვა“ (M5).*

აკადემიური მოსწრება და „სოციალური აღიარების“ მოთხოვნილება

საინტერესო მიგნებაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მშობლის დაბრუნება ან მშობლიურ გარემოში ყოფნა მკვეთრად აუმჯობესებს აკადემიურ მოსწრებას. ბავშვები ცდილობენ წარმატებით „აიცილონ“ ემიგრაციის სტრესი ან ასიამოვნონ შორს მყოფ მშობელს.

„იმდენად შეიცვალა ეს ბავშვი აქ რადიკალურად, რომ პირველი არის კლასში... იმდენად ნიშნებზე არის ორიენტირებული, მამამისს ჩავუგდებს, გაახარებს“ (M1).

“მამა, როცა ჩამოდის, სულ ცდილობს რომ მე და მამამისი ერთად ვიჯდეთ... ამის პროვოცირებას აკეთებს“ (M6).

ფინანსური მდგომარეობა: „არასტაბილურობა და არასაკმარისი რესურსები“

კვლევამ უარყო სტერეოტიპი, რომ ემიგრანტის ოჯახი ყოველთვის ფინანსურად უზრუნველყოფილია. ხშირად გზავნილები არარეგულარულია, ხოლო ხარჯები (კერძო სკოლა, რეპეტიტორები, ჯანმრთელობა) აღემატება მიღებულ თანხას.

- *„მეხუთე თვეა ელოდება, რომ მისცენ ხელფასი... არ აძლევენ, ატყუებენ... ჩვენი სამსახური გვეხმარება“ (M1).*
- *„როგორ არის საკმარისი... უფინანსობა დაიკო, უფინანსობა... ერთი წიგნი ღირს 90 ლარი“ (M2).*
- *„გამოგზავნილი თანხა ნუ ძაან მიზერულია, ბავშვის მოთხოვნებიდან გამომდინარე... ველარ დავდივართ ცეკვაზე, იმიტომ რომ აღარ შეგვიძლია მაგდენის გაქაჩვა“ (M9).*

ჯანდაცვა და სოციალური სერვისების დეფიციტი

მეურვეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო სერვისები პრაქტიკულად არ არსებობს. განსაკუთრებით მწვავედ დგას ჯანდაცვისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საკითხი. სოციალური დახმარება კი ხშირად ბიუროკრატიული ბარიერების გამო არაეფექტურია.

- *„საყოველთაო დაზღვევა არ მუშაობს და სოციალური მითუმეტეს... ჯანდაცვა როცა არის ძლიერი, ამ ქვეყნიდან არავინ არსად არ წავა“ (M1).*
- *„სახელმწიფომ უნდა გააკეთოს ის, რომ ყველა მშობელი ჰყავდეს თავის შვილს “ (M3, M8).*
- *„საჭიროა როგორც სკოლაში, ასევე სამსახურში პროფესიონალი ფსიქოლოგის არსებობა“ (M5).*
- *„არანაირი სოციალური სერვისები... მსგავსი არ გამიგონია, არანაირი მხარდაჭერა“ (M9).*

სასულიერო გიმნაზიები მეურვეებისთვის ხშირად ერთადერთ „უსაფრთხო სივრცედ“ და სოციალურ საყრდენად გვევლინება. ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ მეურვეები სასულიერო სკოლას ირჩევენ არა მხოლოდ რელიგიური მოტივით, არამედ იქ არსებული დისციპლინისა და სოციალური კონტროლის გამო, რაც მათ ბავშვზე აღებული პასუხისმგებლობის შემსუბუქებაში ეხმარება:

- *„სახელმწიფო სერვისების ნაცვლად, ჩვენ სასულიერო გიმნაზია ავირჩიეთ... კი, ძვირიანია, მაგრამ სწავლება მართლა არის... ძალიან კმაყოფილი ვარ ამ სკოლით. თან ახლოს არის, ბავშვი მარტო მოდის-მოდის“ (P8).*

ბავშვთა უფლებების აღქმა

მეურვეთა უმრავლესობა ბავშვის ფუნდამენტურ უფლებად მშობელთან ერთად ცხოვრებას მიიჩნევს. მათი აზრით, საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვა ხშირად მხოლოდ მშობლის/მეურვის ძალისხმევაზეა დამოკიდებული და არა სისტემაზე.

- *„უფლება ყველაზე მეტად მშობელი და შვილი რო არის დაშორებული ერთმანეთს, აი ეს ირღვევა“ (M10).*
- *„ოჯახში მშობლებთან ერთად ყოფნა ირღვევა... ოჯახის უფლება აშკარად ირღვევა“ (M6).*
- *„თუ მშობელი არ არის ძალიან ჩართული, ძალიან ჩვეულებრივად შეიძლება მისი უფლებები დაირღვეს ყველგან“ (M9).*

მეურვეებთან ჩატარებული ინტერვიუების სინთეზი აჩვენებს, რომ მშობლის ემიგრაცია იწვევს „ოჯახური როლების დეფორმაციას“. მეურვეთა უმრავლესობა (განსაკუთრებით ბებიები და მარტოხელა დედები) იმყოფება მუდმივი ფსიქოლოგიური და ფიზიკური გადაწვის ზღვარზე, რადგან მათ უწევთ არა მხოლოდ ყოფითი საკითხების მოგვარება, არამედ ბავშვისთვის იმ ემოციური ვაკუუმის შევსება, რომელიც მშობლის წასვლით გაჩნდა. რესპონდენტთა ნარატივებში მკაფიოდ ჩანს, რომ ციფრული კომუნიკაცია (ვიდეოზარები) მეურვეებისთვის დამხმარე ინსტრუმენტია, თუმცა ბავშვებისთვის ის ხშირად მონატრების გაღვივების წყაროდ იქცევა.
განსაკუთრებით საგულისხმოა მეურვეთა დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ – ისინი თავს გრძნობენ „სისტემის მიღმა“ დარჩენილ ჯგუფად. მათი მხარდაჭერის ერთადერთი ქსელი კვლავ ნათესაური კავშირებია, რაც მიუთითებს ქვეყანაში ინსტიტუციური ზრუნვის პოლიტიკის არარსებობაზე.

ფორმალური მეურვეობის ადმინისტრაციული წნეხი

კვლევამ გამოკვეთა, რომ მეურვეები ორმაგი წნეხის ქვეშ არიან: ერთი მხრივ, ისინი პასუხისმგებელნი არიან ბავშვის აკადემიურ და სოციალურ განვითარებაზე, ხოლო მეორე მხრივ, უმკლავდებიან ემიგრაციაში მყოფი წევრის მიმართ არსებულ მუდმივ შფოთვას (ფინანსური არასტაბილურობა, საბუთების პრობლემა). ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მეურვეები (ბებიები, ბიძები) ხშირად საბუთების გარეშე, „სიტყვიერი შეთანხმებით“ ზრდიან ბავშვებს, რაც კრიტიკულ მომენტში (მაგ. ოპერაცია, საზღვრის კვეთა) დიდ ბარიერს ქმნის.

- *„მე უბრალოდ მეურვეობა მაქვს სიტყვის დონეზე - მეშინია, სხვისი შვილი ჰქვია მაინც... იმხელა პასუხისმგებლობა მაქვს ჩემს თავზე აღებული“ (P8).*

საბუთების პრობლემა პირდაპირ კავშირშია სოციალურ დახმარებასთან. მეურვეები ხშირად კარგავენ დახმარებას, რადგან სისტემა „ემიგრანტის გზავნილს“ შემოსავლად თვლის, თუმცა ეს გზავნილი არასტაბილურია.

- *„დევნილის სტატუსი კი არ მომიხსნეს, მაგრამ დროებითი გიჩერდება, იმიტომ რომ როგორც სოციალურად დაუცველს, ისე სტატუსს განიჭებენ... ხან აგ ზავნის [ქმარი], ხან არ აგ ზავნის“ (P1).*

5.3 ბავშვთა პერსპექტივები

კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა ემიგრანტი მშობლების შვილებთან (10-17 წელი) გამოკვეთა მიგრაციის პროცესის ყველაზე სენსიტიური და მრავალშრიანი მხარე. ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ფუნდამენტური მიგნება.

მეთოდოლოგიური და ეთიკური რეფლექსია

კვლევის პროცესშივე გამოიკვეთა მკვეთრი ემოციური ბარიერი: სამმა პოტენციურმა რესპონდენტმა უარი თქვა ინტერვიუზე თემის უკიდურესი სენსიტიურობის გამო. საუბრის მცდელობა დაკავშირებული იყო მწვავე აფექტურ რეაქციასთან (ტირილთან), რაც ადასტურებს, რომ მშობლის ემიგრაცია მოზარდებისთვის კვლავ რჩება „ღია ტრავმად“. მიუხედავად ამისა, დანარჩენ 21 რესპონდენტთან მიღწეულ იქნა მონაცემთა სატურაცია, ვინაიდან მათ ნარატივებში იკვეთება იდენტური ფსიქო-ემოციური პატერნები.

ემოციური დეფიციტი და „შეჩვეული“ ტკივილი

მოზარდების ნარატივში ფიზიკური დისტანცია აღქმულია, როგორც „შეჩვეული ტკივილი“. ტექნოლოგიური პროგრესი (ვიდეოზარები) ამსუბუქებს კომუნიკაციის დეფიციტს, თუმცა ვერ ახდენს ფიზიკური სიახლოვისა და ტაქტილური კონტაქტის კომპენსირებას.

- „ჩახუტებას ვიტყვი... მინდა ხოლმე, რომ ჩვენთან იყოს“ (S3).
- „ონლაინ რეალობაში მშობლის რჩევა სულ სხვანაირია... დედის მოფერება მაკლია, საერთოდ არ შეედრება ეკრანში დანახულს“ (S8, S1)

განსაკუთრებით მტკივნეულია სოციალური შედარების მომენტი, როდესაც მოზარდები საკუთარ მდგომარეობას თანატოლების ოჯახურ გარემოს აკავშირებენ:

- *„არის დღეები, როცა მართლა მძიმე გადასატანია ეს ყველაფერი ჩემთვის... განსაკუთრებით, როცა ჩემი დაქალის სახლში ვრჩები და ვხედავ, როგორი ურთიერთობა აქვთ მშობლებთან“ (S1).*

მშობლის როლის მორგება/“გამშობლება“და იძულებითი დამოუკიდებლობა

ინტერვიუებმა გამოავლინა ერთგვარი „გამშობლების“ ფენომენი — როდესაც ბავშვი ნაადრევად იღებს ზრდასრულის პასუხისმგებლობებს. უფროსი და-ძმები ხშირად

ითავსებენ მეურვის როლს, რაც აჩქარებს მათ სოციალურ მომწიფებას ემოციური რესურსების ხარჯზე.

- „ჩემს თავზე დამოკიდებული გავხდი... მივხვდი, რომ ჩემზე ბევრი რაღაცაა დამოკიდებული“ (S3).
- „ჩემი და-ძმის მიმართ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გამიჩნდა... მათზე მშობელივით ვზრუნავ“ (S8).
- „პასუხისმგებლობა ბევრი დამემატა... სახლის საქმეები და მსგავსი რაღაცები“ (S21).

აკადემიური მოტივაცია: მადლიერებისა და დანაშაულის კომპლექსი

საინტერესო მიგნებაა სწავლისადმი დამოკიდებულება. რესპონდენტთა უმრავლესობა აკადემიურ წარმატებას განიხილავს, როგორც მშობლის მიერ გაღებული მსხვერპლის „გამოსასყიდს“. სწავლა მათთვის არის მორალური ვალდებულება და მშობლის გახარების ერთადერთი გზა.

- „მამა ეხლა ჩემს გამოა წასული და მაგისთვის უნდა ვიშრომო“ (S13).
- „ყველაფერს ვიზამ, რომ ოჯახს დავეხმარო, მამაჩემი ჩემს გვერდით იყოს... მოტივაცია მომცა“ (S3).
- „სულ ვცდილობ, ბეჯითად ვისწავლო მათი გახარებისთვის“ (S4).

მატერიალური კეთილდღეობა vs ემოციური უსაფრთხოება

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები აცნობიერებენ ემიგრაციის ფინანსურ სარგებელს (გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები, სახარჯო ფული), მატერიალური ფაქტორი მათთვის მეორეხარისხოვანია ემოციურ დანაკლისთან შედარებით.

- „ერთი პური ვჭამო და ჩემ ოჯახთან ვიყო, ვიდრე ათი ლუკმა მქონდეს და მშობელი გარეთ“ (S1).
- „ვიცი, რომ ჩემთვის არიან წასულები... მაგრამ მირჩევნია, აქ იყვნენ“ (S4).

ასაკობრივი დიფერენციაცია	კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მკაფიო სხვაობა ასაკობრივ ჯგუფებს შორის. **უმცროსი ასაკის ბავშვებში (10-12 წელი)** დომინირებს ფიზიკური მზრუნველობისა და ტაქტილური კონტაქტის დეფიციტი („ჩახუტება მაკლია“), ხოლო **მოზარდობის პერიოდში (15-17 წელი)** აქცენტი გადადის ეგზისტენციალურ შფოთვაზე, მომავლის გაურკვევლობასა და **კომპენსატორულ მოტივაციაზე** — როდესაც სწავლა აღქმულია, როგორც მშობლის მიერ გაღებული მსხვერპლის ერთადერთი საზღაური.

ცხრილი 6. ბავშვთა გამოცდილების შემაჯამებელი მატრიცა

ცხრილი 6. ბავშვთა გამოცდილების შემაჯამებელი მატრიცა

ინდიკატორი	ძირითადი მიგნებები	რესპონდენტთა რეაქცია
ემოციური სტატუსი	ეგზისტენციალური სიცარიელე, სევდა, „მოწყენილობა“.	„სიცარიელეა სახლში... თითქოს მოწყენილობაა“ (S10, S4).
მხარდაჭერის სისტემა	ბებია/ბაბუა, ერთადერთი საყრდენი. სკოლა - ინდიფერენტული.	„ყველაზე დიდი მხარდაჭერა ბებიასგან“ (S6). „სკოლა სირთულეებთან ვერანაირად ვერ გეხმარება“ (S18).
იდენტობა	იძულებითი ავტონომია და პასუხისმგებლობის ჰიპერტროფია.	„ჩემს თავზე დამოკიდებული გავხდი“ (S3). „ჩემზე ბევრი რაღაცაა დამოკიდებული“ (S8).
სამომავლო ხედვა	დაბრუნების მოლოდინი ან მშობელთან წასვლის ამბივალენტური შიში.	„მთავარია მიზნებს მივაღწიო... გავახარო დედა, ჩამოვიყვანო და აღარ მოუწიოს წასვლა“ (S1).

ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, რომ ემიგრანტი მშობლების შვილები იმყოფებიან „მშვიდი კრიზისის“ მდგომარეობაში. ერთი მხრივ, ისინი ავლენენ მაღალ ფსიქოლოგიურ მდგრადობას და აკადემიურ მობილიზაციას, რაც მშობლის მიმართ მადლიერების გრძნობითაა განპირობებული. თუმცა, მეორე მხრივ, იკვეთება ღრმა სოციალური იზოლაცია და ინსტიტუციური მხარდაჭერის ვაკუუმი. რესპონდენტების პასუხები ადასტურებს, რომ ბებია-ბაბუები წარმოადგენენ ერთადერთ „ემოციურ ბუფერს“, მაშინ როდესაც სკოლა და სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური ვერ ახერხებს ამ ბავშვების სპეციფიკური საჭიროებების იდენტიფიცირებას. საბოლოო ჯამში, „მატერიალური სტაბილურობა“, რომელიც მიგრაციის მთავარი მოტივია, ბავშვების პერსპექტივაში აღქმულია როგორც არათანაბარი გაცვლა, სადაც ფინანსური კეთილდღეობა ემოციური უსაფრთხოების ხარჯზეა მიღწეული.

5.4. გენდერული ასპექტები და მშობლის როლის გავლენის დიფერენციაცია

ინტერვიუების სიღრმისეული ანალიზი ცხადყოფს, რომ მშობლის ემიგრაციის აღქმა მნიშვნელოვნად ვარირებს ბავშვის სქესისა და იმის მიხედვით, თუ რომელი მშობელი იმყოფება ემიგრაციაში. კვლევამ გამოკვეთა მკაფიო გენდერული თავისებურებები „იძულებითი სიმწიფისა“ და ემოციური რეაგირების პროცესში.
მამის არყოფნის ფაქტორი: ავტორიტეტი და სოციალური ორიენტირი: მამის ემიგრაცია ბავშვების მიერ აღიქმება არა მხოლოდ ემოციურ დანაკლისად, არამედ ოჯახური სტრუქტურის სიმყარისა და დაცულობის ვაკუუმად.

- ბიჭების პერსპექტივა: მამა მათთვის იდენტიფიკაციის მთავარი ობიექტია. მისი არყოფნისას ბიჭები განიცდიან „კაცური“ მხარდაჭერისა და გზამკვლევის ნაკლებობას. რესპონდენტი S20 (15 წლის ბიჭი) აღნიშნავს: „ბიჭი როდესაც ხარ, ისეთი რაღაცა უთხრა მამას, რასაც დედას ვერ ვეტყვი“. მათთვის მამა არის ავტორიტეტი, რომლის წინაშეც პასუხისმგებლობას გრძნობენ.

- გოგოების პერსპექტივა: გოგოებისთვის მამის არყოფნა უფრო მეტად უკავშირდება ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების გარანტის დაკარგვას. S12 (17 წლის გოგო) ხაზს უსვამს მზრუნველობისა და ყოველდღიური მხარდაჭერის დეფიციტს: „ყველაზე მეტად ყურადღება გვაკლია, ის თბილი დამოკიდებულება...“.

დედის არყოფნის ფაქტორი: ფუნქციური გადატვირთვა და ემოციური მოწყვლადობა: დედის ემიგრაცია მოზარდებზე ყველაზე მძლავრ „ფუნქციურ“ და „ემოციურ“ გავლენას ახდენს, თუმცა განსხვავებული ფორმით:

- **გოგოები და გამშობლება:** დედის წასვლისას გოგოები თითქმის ავტომატურად ხდებიან დედის ფუნქციების შემსრულებლები. S8 (14 წლის გოგო) ამბობს: „მათზე [და-ძმაზე] უფრო მშობელივით ვზრუნავ“. ეს იწვევს გოგოების ნაადრევ ფსიქო-სოციალურ მომწიფებას საკუთარი ბავშვობისა და პირადი ინტერესების ხარჯზე.
- **ბიჭები და ემოციური ჩაკეტილობა:** ბიჭებისთვის დედა არის ემოციური „უსაფრთხოების კუნძული“. მისი წასვლისას ბიჭები უფრო მეტად იკეტებიან საკუთარ თავში, რადგან უჭირთ სინაზისა და სითბოს დეფიციტის კომპენსირება სხვა წევრებთან.

ინდიკატორი	გოგოები	ბიჭები
რეაგირება სტრესზე	ინტრაპერსონალური (სევდა, ტირილი, ემპათია).	ქცევითი (ჩაკეტილობა ან პასუხისმგებლობის ჰიპერტროფია).
როლური ტრანსფორმაცია	„პატარა დედა“ - საოჯახო შრომა და სხვებზე ზრუნვა.	„ოჯახის კაცი“ - დამოუკიდებლობა და მატერიალური ფასეულობების დაფასება.
მთავარი დანაკლისი	ემოციური სიახლოვე და ყოველდღიური მზრუნველობა.	ავტორიტეტი, რჩევა-დარიგება და სოციალური იდენტობა.

კვლევამ აჩვენა, რომ დედის არყოფნა უფრო მძაფრად აისახება გოგოების ფუნქციურ დატვირთვაზე, ხოლო მამის არყოფნა — ბიჭების პიროვნული იდენტობის ფორმირებაზე. მიუხედავად ამისა, ორივე ჯგუფი ერთნაირად ხაზს უსვამს, რომ ციფრული კომუნიკაცია ვერ ცვლის მშობლის ფიზიკურ ყოფნას.

5.5. კონტექსტუალური და რეგიონული თავისებურებები

კვლევამ აჩვენა, რომ გარემო მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ბავშვის ადაპტაციას. სოფლის კონტექსტში (გურია, სამეგრელო, კახეთი) ნათესაური ქსელები ქმნიან ემოციურ „ბუფერს “, თუმცა საზღვაო რეგიონებში (აჭარა) იკვეთება მეზღვაურთა ოჯახების სპეციფიკა — „ციკლური განშორების“ გამო ბავშვებში უფრო ხშირია ქცევითი ლაბილურობა. ურბანულ გარემოში (თბილისი) კი, მიუხედავად რესურსების სიმრავლისა, ბავშვები უფრო მძაფრად განიცდიან სოციალურ იზოლაციას და თანატოლებთან შედარების კომპლექსს.

5.6. მონაცემთა ტრიანგულაციის სინთეზი

სამივე კატეგორიის (ბავშვი, მეურვე, პედაგოგი) ნარატივების შეჯერება ადასტურებს კვლევის ვალიდობას: ბავშვის ემოციური დეფიციტი პირდაპირ კავშირშია მეურვის ფსიქოლოგიურ გადაწვასთან, რაც საბოლოოდ აისახება სკოლაში პედაგოგის მიერ

დაფიქსირებულ აკადემიურ ჩამორჩენაზე. ეს სამმხრივი პერსპექტივა ქმნის მიგრაციის სოციალური ფასის კომპლექსურ სურათს.

თავი VI: დისკუსია

საერთაშორისო აკადემიური დებატები მიგრანტი მშობლების შვილების შესახებ ორ ძირითად პოლუსს შორის მერყეობს: ეკონომიკური ოპტიმიზმი (ფულადი გზავნილების როლი) და სოციალურ-ფსიქოლოგიური პესიმიზმი (ემოციური დანაკლისი). წინამდებარე კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ქართულ კონტექსტში ფსიქო-სოციალური ფასი მნიშვნელოვნად აღემატება მატერიალურ სარგებელს, რაც პესიმიზმის პოლუსის დომინანტურობაზე მიუთითებს.

იმპირიული მასალის ანალიზი სრულ თანხვედრაშია მიჯაჭვულობის თეორიასთან (Bowlby 1992), რომელიც ამტკიცებს, რომ ფიზიკური განშორება არღვევს ბავშვის საბაზისო უსაფრთხოების განცდას. თუმცა, წინამდებარე კვლევის მიგნებები ამდიდრებს ბრონფენბრენერის (2009) ეკოლოგიურ მოდელს იმით, რომ ქართულ კონტექსტში „მეზოსისტემა“ (კავშირი ოჯახსა და სკოლას შორის) პრაქტიკულად პარალიზებულია, რაც ბავშვს ინსტიტუციური მხარდაჭერის გარეშე ტოვებს.

საერთაშორისო პრაქტიკისგან განსხვავებით (Cebotari et al. 2018), სადაც მოლდოვასა და რუმინეთში სახელმწიფო აქტიურად ახდენს მეურვეთა მხარდაჭერას, საქართველოში მეურვეები სრულიად იზოლირებულნი არიან ინსტიტუციური დახმარებისგან.

დისკუსიის საგანია ასევე თანატოლთა მხარდაჭერის როლი. მაშინ როცა Dong et al. (2023) ამტკიცებს, რომ ჩინეთში თანატოლები ყველაზე ეფექტური დამცავი ფაქტორია, ქართული ინტერვიუები აჩვენებს, რომ მოსწავლეები ხშირად გაურბიან თანატოლებთან ამ თემაზე საუბარს სტიგმის ან ემოციური სიმძიმის გამო, რაც ეწინააღმდეგება ზოგად საერთაშორისო ტენდენციას და მიუთითებს კულტურულ სპეციფიკაზე.

ჩვენი კვლევა აგრძელებს ანთიას (Antia et al. 2022) მიერ დაწყებულ ხაზს, თუმცა მნიშვნელოვნად აფართოებს მას. თუ ანთია აქცენტს მასწავლებლების აღქმაზე აკეთებდა, ჩვენმა კვლევამ შემოიტანა ბავშვთა „დუმილის კულტურის“ ფენომენი.

წინამდებარე კვლევამ გამოავლინა რამდენიმე უნიკალური ასპექტი, რომლებიც არ არის ასახული არც საერთაშორისო და არც მანამდე არსებულ ქართულ მცირე მასშტაბის კვლევებში:

1. **„დუმილის კულტურა“ და ემოციური სატურაცია:** კვლევის პროცესში სამი მოსწავლის უარი ინტერვიუზე არის უნიკალური ემპირიული მტკიცებულება. ეს მიუთითებს, რომ ტრავმა სცილდება ვერბალიზაციის შესაძლებლობას. ეს ეხმიანება ჩვენს მიერ ნახსენებ „შეჩვეულ ტკივილს“, რომელიც იმდენად ინტენსიურია, რომ მოზარდი მისგან თავდაცვას დუმილით ცდილობს.
2. **ფინანსური უზრუნველყოფის პარადოქსი:** განსხვავებით აზიური მოდელებისგან, სადაც ემიგრაცია სოციალური მობილობის გზაა, ქართულ კონტექსტში გამოვლინდა, რომ გზავნილები ხშირად მხოლოდ ძველი ვალების გასტუმრებას ხმარდება. შესაბამისად, ბავშვი მატერიალურ კეთილდღეობას რეალურად ვერ გრძნობს, რაც აბათილებს „ეკონომიკური სარგებლის“ ტრადიციულ არგუმენტს.
3. **პედაგოგთა „ინტუიციური თერაპევტის“ როლი:** ეს არის კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიგნება. მასწავლებლები, სახელმწიფო პროტოკოლის გარეშე, ასრულებენ ფსიქოლოგის ფუნქციას. ეს „უხილავი მხარდაჭერის შრომა“

მიუთითებს სისტემურ ჩავარდნაზე, რომელსაც ინდივიდუალური ენთუზიაზმი აკომპენსირებს.

4. **გენდერული და როლური დიფერენციაცია:** გამოიკვეთა, რომ დედის ემიგრაცია იწვევს გოგონების ფუნქციურ გამშობლებას, ხოლო მამის ემიგრაცია — ბიჭების იდენტობის კრიზისს. ეს ამყარებს თეორიას, რომ მიგრაციის გავლენა არ არის უნივერსალური და ის სოციალიზაციის გენდერულ მოდელებზეა დამოკიდებული.
5. **რელიგიური და ლოკალური კონტექსტი:** მცირე ურბანულ დასახლებებში გამოიკვეთა, რომ სასულიერო გიმნაზიები ან ეკლესია ხშირად ერთადერთი სოციალური საყრდენია მეურვეებისთვის, რაც დასავლურ ლიტერატურაში (სადაც აქცენტი სეკულარულ სერვისებზეა) ნაკლებად განიხილება.
6. **ციკლური მიგრაციის სპეციფიკა (მეზღვაურთა შვილები):** საზღვაო მიგრაციის ციკლური ბუნება ქმნის სპეციფიკურ ტრავმას. მამის პერიოდული დაბრუნება და წასვლა მოითხოვს როლების მუდმივ გადაფასებას, რაც მოზარდებში ქცევით ლაბილურობასა და დისციპლინურ დარღვევებს იწვევს.

თავი VII. დასკვნა და რეკომენდაციები

წარმოდგენილმა კვლევამ კომპლექსურად შეისწავლა ემიგრანტი მშობლების შვილების მდგომარეობა საქართველოში. კვლევის შედეგად დადასტურდა, მშობლის ემიგრაციით გამოწვეული შესაძლო ეკონომიკური გაუმჯობესების ფონზე, ბავშვის განვითარების ეკოლოგიურ სისტემაში ხშირ შემთხვევაში ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები (მაგ., ზრუნვის გადანაწილება, ემოციური ხელმისაწვდომობის შემცირება, ყოველდღიური რუტინის დარღვევა). ეს ცვლილებები კვლევაში მონაწილე ბავშვებისა და მზრუნველების ნარატივებში ასოცირდება გახანგრძლივებული სტრესის, ემოციური დეფიციტის, იზოლაციის და ასაკთან შეუსაბამო პასუხისმგებლობების აღების ნიშნებთან. აღნიშნულმა ფაქტორებმა შეიძლება გაზარდოს ფსიქო-სოციალური სირთულეების რისკი და საჭიროებდეს ადრეულ იდენტიფიცირებასა და მხარდაჭერას.

ძირითადი დასკვნითი პუნქტები:

1. **პოლიტიკის დეფიციტი და ინსტიტუციური ინდიფერენტულობა:** კვლევის ანალიზი მიუთითებს სტრატეგიულ დოკუმენტებსა და რეალობას შორის შეუსაბამობაზე: საქართველოში არ არსებობს ემიგრანტი მშობლების შვილების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ადგილობრივი თუ ეროვნული მექანიზმები, რაც ზღუდავს საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკის დაგეგმვასა და რესურსების მიზნობრივ განაწილებას. პოლიტიკის დოკუმენტებში (მათ შორის განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022–2030) ეს ჯგუფი არ არის გათვალისწინებული, რის შედეგადაც ისინი პრაქტიკაში ხშირად „უხილავ მოსწავლეებად“ რჩებიან.
2. **ტრანსნაციონალური დაშორება და „ემოციური წყვეტის“ ფენომენი:** ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ციფრული კომუნიკაცია (Viber, WhatsApp) ვერ ანაცვლებს ფიზიკურ სიახლოვეს. ბავშვებში ვლინდება „შეჩვეული ტკივილის“ სინდრომი. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა კვლევის ის ეპიზოდი, როდესაც მოსწავლეებმა უარი თქვეს ინტერვიუზე ემოციური გადატვირთვის გამო, რაც ადასტურებს, რომ ტრავმა ხშირად იმაზე ღრმაა, ვიდრე ამას პედაგოგები ან მეურვეები აღიქვამენ.

3. **მეურვეთა „უხილავი შრომა“:** ბებია-ბაბუები და სხვა ნათესავები ასრულებენ სახელმწიფოს ფუნქციას ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე. კვლევამ აჩვენა, რომ მეურვეები ხშირად იმყოფებიან ფსიქოლოგიური გადაწვის ზღვარზე, რაც პირდაპირ აისახება ბავშვზე ზრუნვის ხარისხზე.
4. **სკოლა, როგორც ერთადერთი საყრდენი:** ანგარიშის მიხედვით, სკოლა ბევრ შემთხვევაში წარმოადგენს ბავშვისთვის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ყოველდღიურ გარემოს, სადაც მას შეუძლია მიიღოს ზრდასრულთა მხარდაჭერა. სახელმწიფო პროტოკოლის არარსებობის პირობებში, მასწავლებლები ინტუიციურად ცდილობენ იყვნენ მთავარი ემოციური საყრდენები, ისინი ამ პროცესში სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან. რადგან უწევთ **ემოციური მედიატორის** როლის მორგება ყოველგვარი პროფესიული მომზადების გარეშე. პედაგოგთა უმრავლესობა ხაზს უსვამს სპეციფიკური კომპეტენციებისა და რესურსების დეფიციტს (მაგ., ტრავმასენსიტიური კომუნიკაცია, ფსიქოსოციალური მხარდაჭერის საბაზისო უნარები, ხელმისაწვდომი სპეციალისტები და მკაფიო რეფერირების პროცედურები), რის გამოც დახმარება ხშირად ვერ იძენს სისტემურ ხასიათს და ეყრდნობა ინდივიდუალურ ძალისხმევას. შედეგად, სკოლა პრაქტიკაში ზოგჯერ იძენს არაფორმალური სოციალური მხარდაჭერის სივრცის ფუნქციას, სადაც პედაგოგები საკუთარი ემოციური რესურსის ხარჯზე ცდილობენ დააბალანსონ სისტემური ხარვეზები.

რეკომენდაციები

კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით, შემუშავებულია რეკომენდაციები სამი ძირითადი მიმართულებით:

I. სახელმწიფო დონეზე

1. **იდენტიფიცირების მექანიზმის შექმნა** - სასკოლო EMIS ბაზაში არასტიგმატიზებული გრაფის დამატება მშობლის მიგრაციული სტატუსის შესახებ.
2. **სტრატეგიული დოკუმენტების გადახედვა** - ემიგრანტი მშობლების შვილების აღიარება სპეციფიკური საჭიროების მქონე ჯგუფად.
3. **სოციალური მუშაკების როლის გაძლიერება** - სოციალური მომსახურების სააგენტომ უნდა შეიმუშაოს ტრანსნაციონალური ოჯახების მონიტორინგის გეგმა, რათა მეურვეები არ დარჩნენ მარტო სამართლებრივ თუ სამედიცინო გამოწვევებთან.
4. **სპეციფიკური სექტორების მხარდაჭერა** - მეზღვაურთა ოჯახებისთვის რეინტეგრაციის პროგრამების შექმნა, რაც გაითვალისწინებს „დაბრუნება-წასვლის“ ციკლურ ტრავმას.

II. სასკოლო დონეზე

1. **პედაგოგთა გადამზადება** - გზამკვლევის შემუშავება „დუმილის კულტურისა“ და ემოციური სირთულეების ნიშნების ამოსაცნობად.
2. **პროაქტიული ფსიქოლოგიური სამსახური** - სკოლებში ჯგუფური თერაპიის სეანსები მსგავსი გამოცდილების მქონე ბავშვებისთვის.
3. **მეურვეთა კლუბები** - ბებია-ბაბუებისთვის კონსულტაციების გაწევა მოზარდობის კრიზისებთან გამკლავებაზე.

III. მუნიციპალურ დონეზე

1. **სოციალური ინტეგრაცია** - უფასო სპორტული და სახელოვნებო წრეების ხელმისაწვდომობა ამ ბავშვებისთვის.

2. **დღის ცენტრები -** სივრცეების შექმნა სკოლისშემდგომი მეცადინეობისა და გართობისთვის, რაც შეამსუბუქებს მეურვეების ტვირთს და სადაც ბავშვები მიიღებენ როგორც აკადემიურ ასევე ემოციურ მხარდაჭერას.
3. **საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება -** საინფორმაციო კამპანიები ემიგრაციაში მყოფი მშობლებისთვის, რათა მათ იცოდნენ, როგორ შეინარჩუნონ ხარისხიანი ემოციური კავშირი შვილებთან დისტანციურად.

კვლევა ცხადყოფს, რომ მიგრაცია საქართველოსთვის არა მხოლოდ ეკონომიკური ხსნაა, არამედ მზარდი „სოციალური ვალია“, რომლის გადახდაც მომავალ თაობას უწევს. ფულადი გზავნილები, რომლებიც ოჯახების მატერიალურ გადარჩენას უზრუნველყოფს, ხშირად ხდება ბავშვსა და მშობელს შორის არსებული ემოციური კაპიტალის დეგრადირების მიზეზი. ეს ქმნის პარადოქსულ მოცემულობას: მატერიალური კეთილდღეობის ძიება აზარალებს ბავშვის განვითარების ფუნდამენტურ საფუძველს — უსაფრთხო მიჯაჭვულობასა და ოჯახურ მთლიანობას. სახელმწიფო ვადლედბულია გადახედოს არსებულ პოლიტიკას და აიღოს პროაქტიული პასუხისმგებლობა მიგრანტი მშობელების ბავშვების კეთილდღეობაზე. აუცილებელია, საკითხი მხოლოდ ფინანსური დახმარების ჭრილიდან გადავიდეს კომპლექსური ინსტიტუციური მხარდაჭერის სიბრტყეზე. ეს გულისხმობს სკოლებში ბავშვთა სპეციფიკურ ფსიქო-სოციალურ საჭიროებებზე მორგებული მიდგომების დანერგვას, მეურვეთა სამართლებრივი და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმების შექმნას და სახელმწიფოებრივი სოციალური სერვისების გაძლიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ემიგრაციის შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებელი ვერ გადაწონის იმ დემოგრაფიულ და სოციალურ ზიანს რასაც „დაკარგული თაობის“ ჩამოყალიბების რისკი ჰქვია — თაობისა, რომელიც იზრდება მშობლის ფიზიკური არყოფნის, სისტემური უგულებელყოფისა და ემოციური იზოლაციის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

Ainsworth, M. D. S., Blehar, M. C., Waters, E., & Wall, S. (2015). *Patterns of attachment: A psychological study of the strange situation* (Classic ed.). Routledge. https://doi.org/10.4324/9780203758045

Antia, K., Rodoreda, A. B., & Winkler, V. (2022). Parental migration and left-behind children in Georgia: School teachers' experience and perception: A qualitative study. *BMC Public Health, 22*(1), 2077. https://doi.org/10.1186/s12889-022-14516-8

Battistella, G., & Conaco, M. C. G. (1998). The impact of labour migration on the children left behind: A study of elementary school children in the Philippines. *Journal of Social Issues in Southeast Asia, 13*(2), 220–241. https://doi.org/10.1355/SJ13-2C

Bălțătescu, S., Strózik, T., Soo, K., Kutsar, D., Strózik, D., & Bacter, C. (2023). Subjective well-being of children left behind by migrant parents in six European countries. *Child Indicators Research, 16*(5), 1941–1969. https://doi.org/10.1007/s12187-023-10054-w

Bowlby, J. (1992). *A secure base: Clinical applications of attachment theory*. Routledge.

Braun, V., & Clarke, V. (2022). *Thematic analysis: A practical guide*. SAGE.

Bronfenbrenner, U. (2009). *The ecology of human development: Experiments by nature and design*. Harvard University Press.

Cebotari, V., Siegel, M., & Mazzucato, V. (2018). Migration and child health in Moldova and Georgia. *Comparative Migration Studies, 6*(1), 3. https://doi.org/10.1186/s40878-017-0068-9

Chen, R., & Zhou, L. (2021). Parental migration and psychological well-being of children in rural China. *International Journal of Environmental Research and Public Health, 18*(15), 8085. https://doi.org/10.3390/ijerph18158085

Corbin, J., & Strauss, A. (2008). *Basics of qualitative research: Techniques and procedures for developing grounded theory* (3rd ed.). SAGE. https://doi.org/10.4135/9781452230153

Creswell, J. W., & Poth, C. N. (2018). *Qualitative inquiry and research design: Choosing among five approaches* (4th ed.). SAGE.

Dillon, M., & Walsh, C. A. (2012). Left behind: The experiences of children of the Caribbean whose parents have migrated. *Journal of Comparative Family Studies, 43*(6). https://doi.org/10.2307/41756275

Dong, L., Peng, Y., Zhang, R., Ju, K., & Xi, J. (2023). The unique role of peer support: Exploring the effects of various sources of social support on the mental health of

unaccompanied children in China under residential education. *Children, 10*(8), 1326. https://doi.org/10.3390/children10081326

Dong, Y., Liu, F., Jiang, Y., & Wei, S. (2022). Neuroticism and aggressive behavior among left-behind children: The mediating roles of interpersonal sensitivity and bullying victimization. *International Journal of Environmental Research and Public Health, 19*(17), 11072. https://doi.org/10.3390/ijerph191711072

Durlak, J. A., Weissberg, R. P., Dymnicki, A. B., Taylor, R. D., & Schellinger, K. B. (2011). The impact of enhancing students' social and emotional learning: A meta-analysis of school-based universal interventions. *Child Development, 82*(1), 405–432. https://doi.org/10.1111/j.1467-8624.2010.01564.x

Einarsdóttir, J. (2007). Research with children: Methodological and ethical challenges. *European Early Childhood Education Research Journal, 15*(2), 197–211. https://doi.org/10.1080/13502930701321477

El Alaoui, A., & Ahbala, S. (2024). Effect of parent's international migration on the educational performances of left-behind children in Morocco. *European Scientific Journal, 20*(4), 112. https://doi.org/10.19044/esj.2024.v20n4p112

Fellmeth, G., Rose-Clarke, K., Zhao, C., et al. (2018). Health impacts of parental migration on left-behind children and adolescents: A systematic review and meta-analysis. *The Lancet, 392*(10164), 2567–2582. https://doi.org/10.1016/S0140-6736(18)32558-3

Flick, U. (2022). *The SAGE handbook of qualitative research design*. SAGE. https://doi.org/10.4135/9781529770278

Gassmann, F., Siegel, M., Vanore, M., & Waidler, J. (2018). Unpacking the relationship between parental migration and child well-being: Evidence from Moldova and Georgia. *Child Indicators Research, 11*(2), 423–440. https://doi.org/10.1007/s12187-017-9461-z

Guo, L. (2023). Parental migration in childhood and individual wellbeing in adulthood. *Applied Research in Quality of Life, 18*(5), 2259–2293. https://doi.org/10.1007/s11482-023-10185-w

He, X., Zhang, R., & Zhu, B. (2022). A prospective study on resilience among children with different migrant and left-behind trajectories. *Child Indicators Research, 15*(6), 2065–2091. https://doi.org/10.1007/s12187-022-09945-1

Hill, M. (2006). Children's voices on ways of having a voice: Children's and young people's perspectives on methods used in research and consultation. *Childhood, 13*(1), 69–89. https://doi.org/10.1177/0907568206059972

Hodgkin, R., & Newell, P. (2007). *Implementation handbook for the convention on the rights of the child* (3rd ed.). UNICEF.

Hofmann, E. T., & Buckley, C. J. (2012). Cultural responses to changing gender patterns of migration in Georgia. *International Migration, 50*(5), 77–94. https://doi.org/10.1111/j.1468-2435.2010.00681.x

Hogan, D., & Greene, S. (2005). *Researching children's experiences: Methods and approaches*. SAGE.

IOM. (2021). *Return in times of COVID-19*. https://shorturl.at/VNml8

IOM & Statistical Committee of the Republic of Armenia. (2024). *Migration profile of the Republic of Armenia in 2022*. https://armstat.am/file/article/migration_profile_en__2022.pdf

Jordan, L. P., & Graham, E. (2012). Resilience and well-being among children of migrant parents in South-East Asia. *Child Development, 83*(5), 1672–1688. https://doi.org/10.1111/j.1467-8624.2012.01810.x

Lee, G., & Simpkins, S. D. (2021). Ability self-concepts and parental support may protect adolescents when they experience low support from their math teachers. *Journal of Adolescence, 88*(1), 48–57. https://doi.org/10.1016/j.adolescence.2021.01.008

Lincoln, Y. S., & Guba, E. G. (1985). *Naturalistic inquiry*. SAGE.

Liu, M., & Villa, K. M. (2020). Solution or isolation: Is boarding school a good solution for left-behind children in rural China? *China Economic Review, 61*, 101456. https://doi.org/10.1016/j.chieco.2020.101456

Liu, W., Wang, Y., Xia, L., Wang, W., Li, Y., & Liang, Y. (2023). Left-behind children's positive and negative social adjustment: A qualitative study in China. *Behavioral Sciences, 13*(4), 341. https://doi.org/10.3390/bs13040341

Lu, Z., & Pang, X. (2022). The impact of parental migration on offspring's education investment: Evidence from left-behind children in China. *Sustainability, 14*(10), 6257. https://doi.org/10.3390/su14106257

Luthar, S. S., Cicchetti, D., & Becker, B. (2000). The construct of resilience: A critical evaluation and guidelines for future work. *Child Development, 71*(3), 543–562. https://doi.org/10.1111/1467-8624.00164

Mao, M., Zang, L., & Zhang, H. (2020). The effects of parental absence on children development: Evidence from left-behind children in China. *International Journal of Environmental Research and Public Health, 17*(18), 6770. https://doi.org/10.3390/ijerph17186770

Masten, A. S., & Barnes, A. J. (2018). Resilience in children: Developmental perspectives. *Children, 5*(7), 98. https://doi.org/10.3390/children5070098

Mazzucato, V., & Cebotari, V. (2017). Psychological well-being of Ghanaian children in transnational families. *Population, Space and Place, 23*(3), e2004. https://doi.org/10.1002/psp.2004

UN DESA. (2020). *International migration 2020: Highlights*. United Nations.

UN DESA. (2025). *International migrant stock 2024*. https://www.un.org/development/desa/pd/content/international-migrant-stock

UNICEF. (2017). *Children left behind*. https://www.unicef.org/media/83581/file/Children-Left-Behind.pdf

World Bank. (2018). *Migration and remittances: Implications for children and families*. World Bank.

Zhao, C., Wang, F., Zhou, X., Jiang, M., & Hesketh, T. (2018). Impact of parental migration on psychosocial well-being of children left behind: A qualitative study in rural China. *International Journal for Equity in Health, 17*(1), 80. https://doi.org/10.1186/s12939-018-0795-z

Zhou, C., Lv, Q., Yang, N., & Wang, F. (2021). Left-behind children, parent-child communication and psychological resilience: A structural equation modeling analysis. *International Journal of Environmental Research and Public Health, 18*(10), 5123. https://doi.org/10.3390/ijerph18105123

Zhu, Z., Wang, Y., & Pan, X. (2023). Health problems faced by left-behind children in low- and middle-income countries. *BMJ Global Health, 8*(8), e013502. https://doi.org/10.1136/bmjgh-2023-013502

Civitas Georgica. (2025). *შრომითი მიგრანტების სამშობლოში დარჩენილი ბავშვების საჭიროებების კვლევა.*

მანდატურის სამსახური. (2024). *ანგარიში.* https://shorturl.at/txNrU

საქართველოს მთავრობა. (2019). *საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019–2023 წლების ეროვნული სტრატეგია.*

საქართველოს მთავრობა. (2024). *სამთავრობო პროგრამა 2025–2028*. https://www.gov.ge/files/90372_90372_536784_372256.pdf

საქართველოს პარლამენტი. (2005). *საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.* https://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2016). *ეროვნული სასწავლო გეგმა.* https://www.mes.gov.ge/uploads/files/brdzaneba%20N40-n%2018.05.2016.pdf

საქართველოს გენერალური პროკურატურა. (2023). *კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლის კვლევა.*

საქსტატი. (2024a). იმიგრანტების და ემიგრანტების რაოდენობა სქესისა და მოქალაქეობის მიხედვით. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia

საქსტატი. (2024b). მოსახლეობის რაოდენობა. https://shorturl.at/hEOsl

საქსტატი. (2025a). ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა და მათში მოსწავლეთა
რაოდენობა. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/59/zogadi-ganatleba

საქსტატი. (2025b). მოსახლეობის რაოდენობა 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. https://shorturl.at/OqaZj

სახალხო დამცველი. (2024). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის
შესახებ.* https://ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf

სგმეეს. (2022). *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022–2030*. https://mes.gov.ge/content.php?id=7755&lang=geo

საქართველოს ეროვნული ბანკი. (2023). *წლიური ანგარიში 2023*.

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2021). *წლიური
ანგარიში.* https://shorturl.at/Tn3AV

საქართველოს მთავრობა. (2006). *სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს მთავრობის №145 დადგენილება.* https://matsne.gov.ge/ka/document/view/10276